ბიბლიოთეკა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 56
(11 922)

22 – 25 ივლისი, 2005 წ.

ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ნომერშია:


- სეოკ-ი გიწვევთ კონკურსზე
- შიდა ქართლში საუნჯეს უფრთხილდებიან
- ისრაელში ქართველებს ქომაგობდნენ
- „ცხუმი" და არა „დინამო" – ითხოვენ დევნილები
- ქართული ფეხბურთის ახალი ამბები
- აურზაური შეჯიბრის გამო
- საჭადრაკო ამოცანა, კროსვორდი





4

ლევან მელქაძე „ვიტ ჯორჯიიდან" ორი წლის წინათ გადავიდა თბილისის „დინამოში" და მალე შეეწყო მდიდარი ტრადიციების ამ გუნდს, დღეს კი, ერთ-ერთი ლიდერია. ლევანმა ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის განმეორებით მატჩში გამოიჩინა თავი და გუნდისთვის სტიმულისმიმცემი გოლი გაიტანა.

ფოტო ელდარ მალხაზიშვილისა.

## მილოცვები

საქართველოს სპორტის დეპარტამენტი და ძიუდოს ეროვნული ფედერაცია დაბადებიდან 30 წლისთავს ულოცავენ სახელოვან ფალავანს, ძიუდოში ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედალოსანს, მსოფლიოს პრიზიორს, ევროპის ორგზის ჩემპიონს და სამგზის პრიზიორს, ევროპის გუნდური ჩემპიონატის ორგზის გამარჯვებულს, მსოფლიო გუნდური პირველობის მეორე პრიზიორს, ახალგაზრდებს შორის მსოფლიო ჩემპიონს, ჭაბუკებში ევროპის ჩემპიონს, მსოფლიო უნივერსიადის პრიზიორს **ნესტორ ხერგიანს.**



საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადებიდან 30 წლისთავს ულოცავს დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ოლიმპიური თამაშების პირველ ვერცხლის მედალოსანს, მრავალ საერთაშორისო ასპარეზობებში გამარჯვებულსა და პრიზიორს **ნესტორ ხერგიანს.**

* * *

„ლელო" უერთდება ამ მილოცვებს.

## ცნობები სპორტული ორგანიზაციებიდან

◆ **დღეს,** 22 ივლისს, ესპანეთში, კუნძულ მალიორკაზე უნდა გაიმართოს სასამართლო პროცესი, რომელიც განიხილავს ქართველი დიდოსტატის, ფიდეს ვიცე-პრეზიდენტის საკითხს იმ ინციდენტთან დაკავშირებით, რომელიც შარშან ოქტომბერში მოხდა საჭადრაკო ოლიმპიადის დახურვის დროს. აზმაიფარაშვილს შემხვედრი სარჩელი აქვს შეტანილი მის მიმართ პოლიციის ძალადობის ფაქტზე.

◆ **დღეს,** სპორტის დეპარტამენტის სააქტო დარბაზში (12 სთ) საჭიდაობო სამყარო ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტს აირჩევს. კანდიდატი ერთადერთია, სასაზღვრო დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი **ბადრი ბიწაძე.**

◆ **დღეს,** 14 საათზე, ჭაბუკთა შორის ევროპის ჩემპიონატიდან დაბრუნებული ბერძნულ-რომაულ და თავისუფალ ჭიდაობაში საქართველოს ნაკრები გუნდების ხელმძღვანელობა პრესკონფერენციას გამართავს სპორტის დეპარტამენტში.

◆ **საქართველოს ჰაერნაოსნობის** ეროვნული ფედერაცია, რომელიც ერთი კვირის წინ დაფუძნდა, გამგეობის პირველ სხდომას დღეს, 22 ივლისს ჩაატარებს.

◆ **თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახურის მიერ** ტრადიციად ქცეული შეზღუდული შესაძლებლობების პირთა სპარტაკიადა დღეს საზეიმოდ დაიხურება სპორტის საქალაქო სამსახურის დიდუბე — ჩუღურეთის რაიონის სპორტული სკოლის დარბაზში.

## დავით სახვაძე მსოფლიო ჩემპიონატს იმსაჯებს

პარიზში ჩატარდა ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაციის მსაჯთა კომისიის სხდომა, რომლის მუშაობაში მონაწილეობდა ამ კომისიის წევრი, საქართველოს ფარიკაობის ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი **მორის სახვაძე.** დღის წესრიგში იყო წლეულს, ოქტომბერში, მსოფლიოს ჩემპიონატისათვის და მიმდინარე სეზონის გრან პრის ტურნირებზე მსაჯებისა და დელეგატების დანიშვნის საკითხი.

საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი, თბილისელი **დავით სახვაძე** ევროპიდან იმ 14 რჩეულ მსაჯს შორის მოხვდა, რომლებიც მომსახურებას გაუწევენ მსოფლიო ჩემპიონატს.

## სიკვდილი უშბაზე



მრისხანე უშბამ კიდევ ორი სიცოცხლე შეიწირა. ერთ-ერთი ყველაზე ურთულესი გზით ე.წ. მიშლიაევის მარშრუტით, მწვერვალზე ასვლას ერთობლივად ცდილობდა ორი ჰოლანდიელი — ჰანსი და რეი და სამი ქართველი მთამსვლელი — **გელა ოთარაშვილი, ზაალ ქიქოძე და მერაბ ხაბაზი.**

ექსპედიცია დაიწყო 14 ივლისს. 16 ივლისს მთამსვლელებს პრობლემები შეექმნათ. გელას ზურგჩანთა გაუვარდა ხელიდან, რომელშიც საკვები და სხვა საჭირო ნივთები იყო. მერაბი ჩანჩქერში მოჰყვა, რაც ნაშუადღევს თოვლის დნობამ გამოიწვია, იგი შველას ითხოვდა, თოკზე ცოცვის ძალა აღარ შესწევდა. მიშველება არ მოხერხდა.

ქართველთა სამეულს დაშორებული ჰოლანდიელები 18 ივლისს მაშველებმა გამოიყვანეს სამშვიდობოზე. ქართველთა ჯგუფთან მიდგომა უამინდობის გამო ვერ მოხერხდა. ვერტმფრენით მიშველება მხოლოდ 20 ივლისს გახდა შესაძლებელი. მერაბ ხაბაზი და ზაალ ქიქოძე ცოცხლები აღარ იყვნენ. ცოცხლად გადარჩენილი გელა ოთარაშვილი თბილისში გადააფრინეს. მის სიცოცხლეს საშიშროება არ ემუქრება, მაგრამ ჯერჯერობით სტრესულ მდგომარეობაშია. ბევრ კითხვას, თუ რა მოხდა, პასუხი ალბათ მოგვიანებით გაეცემა.

## ლიდერობენ „ლელო" და „ლოკომოტივი"

**გრძელდება რაგბში საქართველოს თასის გათამაშება.**

**ვარკეთილის სტადიონზე „ა" ჯგუფის ლიდერები „ლელო" და „აია" შეხვდნენ ერთმანეთს, რომლებსაც ამ მატჩამდე 12-12 ქულა ჰქონდათ აქტივში. გამარჯვების შემთხვევაში, როგორც ერთ, ისე მეორე გუნდს, შეეძლო ხელში ჩაეგდო ერთპიროვნული ლიდერობა. ეს ამოცანა წარმატებით გადაჭრეს ლელოელებმა, სძლიეს რა ქუთათურებს 29:24, ჯგუფის ცხრილის სათავეში მყარად დამკვიდრდნენ. „ბ" ჯგუფში კი კარგა ხნის ერთპიროვნულმა ლიდერმა მეორე ადგილზე დიდი სხვაობით ჩამორჩენილ „აკადემიას" მოუგო 10:3.**

**„ა" ჯგუფიდან გათამაშებას გამოეთიშა „ხულიგანა".**

## ესპანეთის ქალაქის მეხუთე ცდა
### 2014 წლის ოლიმპიადას თურქეთიც ითხოვს

ესპანეთის ქალაქი და ზამთრის კურორტი ხაკა 1984 წლიდან ცდილობს მოიპოვოს ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლება. სწორედ 1984 წელს ქალაქის მერიამ მოითხოვა მათი ქალაქისთვის მიეცათ 1992 წლის თამაშები, შემდეგ 1998, 2002, 2006 და 2010 წლების ოლიმპიადებს იწვევდნენ, მაგრამ, ამაოდ. ახლა ხაკას მერიას სურს მეხუთედ სცადოს ბედი 2014 წლისთვის და განაცხადიც შეიტანა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში.

ამასთან, ცნობილი გახდა, რომ სოკ-ს იგივე თხოვნით მიმართა თურქეთმა. ამ ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი მხარს უჭერს ანატოლიაში, კერძოდ კი, ერზერუმის, ერზინჯანის, ყარსისა და აგრის პროვინციებში 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადის ჩატარების იდეას.

## ძლიერს ართმევს, მაგრამ თავადაც კარგავს...

ქართველი **ლევან ცაგურია** (კოკაი) ივლისის ბაშოზე ქ. ნაგოაში ურიგოდ არ ასპარეზობს, მაგრამ ზოგჯერ სუსტთან მარცხდება, ძლიერთან იმარჯვებს. გუშინწინ კოკაიმ ასპარეზობის ერთპიროვნულ ლიდერს მონგოლ **ასაშორიუს** სძლია და ლიდერობა დააკარგვინა. ამას წინათ, მაისისა და ივლისის ბაშოების შუალედში, ჩვენებურმა ასაშორიუს კომერციულ ტურნირშიც აჯობა. ყველაზე ძლიერი ილეთით, რომელსაც კოკაი ხშირად იყენებს და მეტწილად წარმატებას სწორედ ამ ილეთის — ოშიდაშის წყალობით აღწევს. ახლაც, ასაშორიუს სწორედ ეს ფანდი მოუმარჯვა, მაგრამ მეტოქემ კონტრილეთზე სცადა კოკაის გამოჭერა, რაც მისთვის სავალალოდ დამთავრდა — ფეხი გადააბიჯა წრეს. ამ პაექრობამდე ცაგურიას მეტოქე იყო დასავლეთის **სეკივაკე კოტომიცუკი,** რომელიც ჩვენებურთან ჰიკიოტოშით დამარცხდა.

**გუშინ,** კოკაი ბულგარელ **კოტუშუს** შეხვდა, რომელსაც აქამდე 11 შერკინებიდან 9 მოგება ჰქონდა...

შერკინების დასაწყისშივე უპირატესობა კოკაიმ მოიპოვა, მძლავრად მიაწვა ორივე ხელით მეტოქეს, გამოიყვანა წონასწორობიდან, მაგრამ ბულგარელმა მოახერხა ფეხზე მყარად დადგომა, კონტრილეთზე გადავიდა და 142 კილოგრამიანმა მეტოქემ 160 კილოგრამიანი კოკაი წრის გარეთ დასცა.



ჰენრი კუპრაშვილი, რომელიც ცნობილია, შორ მანძილზე ხელფეხშეკრული გადაცურვით ცდილობდა მორიგი რეკორდის დამყარებას ბოსფორის სრუტის გადაცურვით, მაგრამ გეგმის განხორციელებაში ხელი შეუშალა თურქეთის უშიშროების სამსახურმა — კუპრაშვილმა სტარტი კი აიღო, მაგრამ ცოტა ხანში შეაწყვეტინეს.

## გაზეთის დაბეჭდვამდე:

### უეფამ უკრაინა – პოლონეთის განაცხადი მიიღო

უეფას შტაბ-ბინაში ნიონში, დაარეგისტრირეს უკრაინისა და პოლონეთის ერთობლივი განაცხადი ევროპის 2012 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მასპინძლობაზე. ამ განაცხადამდე ერთი დღით ადრე ევროპის პირველობის მასპინძლობის სურვილი გამოთქვეს ხორვატიამ და უნგრეთმა, კიდევ ერთმა ქვეყანამ — იტალიამ. განაცხადების მიღების ვადა წუხელ ამოიწურა.

## პრეზიდენტებმა აზრები გაცვალეს

ავსტრიის ქ. ბრეგენცში გაიხსნა ე.წ. „ბოდენზეეს" ფესტივალი. საზეიმო ცერემონიას დაესწრნენ ავსტრიისა და შვეიცარიის პრეზიდენტები, ჰაინც ფიშერი და სამუელ შმიდტი. მოგეხსენებათ, ავსტრია და შვეიცარია ერთობლივად უმასპინძლებენ ევროპის 2008 წლის ჩემპიონატს. სწორედ ამ მნიშვნელოვანი საფეხბურთო ღონისძიებისათვის მზადების თემაზე ისაუბრეს ორივე ქვეყნის ხელმძღვანელებმა. ჰაინც ფიშერი და სამუელ შმიდტი თვლიან რომ, ევროპის ჩემპიონატი მაღალ დონეზე იქნება ორგანიზებული და ის ეკონომიურ და პოლიტიკურ წარმატებას მოუტანს ავსტრიასა და შვეიცარიას. პრეზიდენტები კმაყოფილები არიან ჩემპიონატისთვის მზადების ტემპით. საუბრის დასასრულს ფიშერი და შმიდტი ერთმანეთს ხუმრობით ეკამათებოდნენ, რომელი გუნდი იქნება ჩემპიონატის ოქროს მედლის ფავორიტი — ავსტრია თუ შვეიცარია.

## „რეალი" რობინიოს 24 მილიონ ევროდ შეიძენს



გუშინ საინფორმაციო — სააგენტო „როიტერმა" გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც მადრიდის „რეალის" ხელმძღვანელობამ მიაღწია შეთანხმებას ბრაზილიურ საფეხბურთო კლუბ „სანტოსთან" თავდამსხმელ რობინიოს შეძენასთან დაკავშირებით. ამ ფეხბურთელში სამეფო კლუბი 24 მლ. ევროს გადაიხდის. გუშინ რობინიომ უკვე გაიარა სამედიცინო გამოკვლევა ქალაქ სან პაულუს ერთ-ერთ კლინიკაში, ამ პროცესს ესწრებოდა მადრიდული კლუბის ექიმიც.

## «შტუტგარტს» ვიანას შეძენა სურს

გერმანული საფეხბურთო კლუბ „შტუტგარტის" ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ დაინტერესებულია ნიუკასლის ნახევარმცველის ჰიუგო ვიანას შეძენით. ბოლო სეზონი ამ მოთამაშემ არენდით გაატარა ლისაბონის „სპორტინგში". ვიანაში „შტუტგარტის" მთავარი მწვრთნელი ჯოვანი ტრაპატონი ალექსანდრ გლების შემცვლელს ხედავს. (ეს უკანასკნელი ლონდონის „არსენალში" გადავიდა). ჯერჯერობით „ნიუკასლი" უარზეა გაყიდოს ფეხბურთელი.

## სავიოლა „ასტონ ვილაში"

**„ბარსელონას" არგენტინელი ფორვარდი ხავიერ სავიოლა უახლოეს დღეებში კონტრაქტს გააფორმებს ინგლისურ „ასტონ ვილასთან". კატალონიური კლუბის მწვრთნელმა ფრანკ რაიკაარდმა განაცხადა, რომ ეს მოთამაშე მის სათამაშო ტაქტიკურ სქემაში არ ჯდება. ამის გამო სრული თავისუფლება მიანიჭა მას**

### შეკითხვა „ლელოს"

**კითხვა:** რამდენადაც ჩვენთვის იყო ცნობილი, 2005 წლის 1 იანვრიდან ძალაში უნდა შესულიყო კანონი სადაზღვევო პენსიების შესახებ, რომლის შესაბამისადაც სახელმწიფო პენსიის გამოანგარიშება უნდა მომხდარიყო შრომის სტაჟისა და ხელფასის გათვალისწინებით.

გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით განგვიმარტოთ, მოქმედებს თუ არა დღეისათვის პენსიის გამოანგარიშების ზემოაღნიშნული წესი?

**პასუხი:** საქართველოს პარლამენტის 2004 წლის 29 დეკემბრის დადგენილებით, სადაზღვევო პენსიების შესახებ კანონის ამოქმედება გადატანილია 2006 წლის 1 იანვრისათვის.

# სეოკ-ის აღმასკომის დადგენილება პროფ. ა. ციბაძის სახელობის კონკურსის ჩატარების შესახებ

სეოკ-ის აღმასკომი ადგენს:

1. 2005 წელს ჩატარდება პროფ. ა. ციბაძის სახელობის კონკურსი ოლიმპიური მოძრაობის, ოლიმპიური განათლებისა და სპორტულ საკითხებზე საუკეთესო სამეცნიერო, სამეცნიერო-მეთოდური, სასწავლო სახელმძღვანელოების შედგენა-გამოცემისა, ასევე ოლიმპიზმის პროპაგანდის მიზნით მასმედიაში გამოქვეყნებული ან ტელევიზიით გადაცემული მასალების გამოვლინების მიზნით.

2. კონკურსის ჩატარების წესები და პირობები დამტკიცდეს (თან ერთვის).

3. კონკურსის შეჯამება მოხდეს 2005 წლის 15 დეკემბრისთვის. კონკურსის ჟიურის ხელმძღვანელობა დაევალოს სეოკ-ის საინფორმაციო-საგამომცემლო და ოლიმპიური განათლების კომისიას (ე. ბერიშვილი).

4. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე დაევალოს დ. კინწურაშვილს და ლ. აფციაურს.

## კონკურსის ჩატარების წესები და პირობები

**1. ზოგადი ცნობები**

1. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის და საქართველოს ოლიმპიური აკადემიის მიერ 2005 წელს ორგანიზებული პროფ. ა. ციბაძის სახელობის კონკურსი ოლიმპიური მოძრაობის, ოლიმპიური განათლების და სპორტის საკითხებზე, საუკეთესო სამეცნიერო, სამეცნიერო-მეთოდური, სასწავლო სახელმძღვანელოების შედგენა-გამოცემისა, ასევე ოლიმპიზმის პროპაგანდის მიზნით მასმედიაში გამოქვეყნებული ან ტელევიზიით გადაცემული მასალების გამოვლინების კონკურსი ეწყობა 2005 წლის 1 დეკემბრამდე, შეჯამება — 15 დეკემბრისთვის.

2. მასალები ავტორთა ან ავტორთა კოლექტივის მიერ უნდა ჩაბარდეს კონკურსის ჟიურის (სეოკ-ი, დ. აღმაშენებლის 65) ა.წ. 1 დეკემბრამდე, საფოსტო გზავნილის ან მიმღების შესაბამისი აღნიშვნით. შემდგომში მიღებული მასალა არ განიხილება.

**2. მონაწილენი**

1. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ ცალკეულ პირს ან ავტორთა ჯგუფს. კონკურსზე წარმოდგენილ მასალას თან უნდა ერთვოდეს ავტორის პირადი განცხადება ან შესაბამისი ორგანიზაციის ხელმძღვანელის რეკომენდაცია-წერილი.

2. ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე ბეჭდვური წესით (სტამბური ან საბეჭდი მანქანა) ერთ ეგზემპლარად.

3. საკონკურსო ნომინაციები და ჩატარების პირობები

**ჯგუფი I.** სახელმძღვანელო. შესრულებული და გამოცემული 2004-2005 წლებში.

ერთი პრემია 500 ლარის ოდენობით.

**ჯგუფი II.** სამეცნიერო ნაშრომი შესრულებული და გამოცემული 2004-2005 წლებში.

ორი პრემია თითოეული 300-300 ლარის ოდენობით.

**ჯგუფი III.** სამეცნიერო-მეთოდური ნაშრომი შესრულებული და გამოცემული 2005 წელს.

სამი პრემია თითოეული 400-400 ლარის ოდენობით.

**ჯგუფი IV.** ოლიმპიზმის და ოლიმპიური განათლების საკითხებზე წიგნი, ბროშურა, შესრულებული 2005 წელს.

ორი პრემია თითოეული 400-400 ლარის ოდენობით.

**ჯგუფი V.** სატელევიზიო გადაცემები, შესაბამისი კასეტების წარმოდგენით, შესრულებული 2005 წელს (არანაკლებ ორი გადაცემისა).

ორი პრემია თითოეული 200-200 ლარის ოდენობით.

**ჯგუფი VI.** პუბლიცისტური წერილები. ტექსტების წარმოდგენით, შესრულებული 2005 წელს (არანაკლებ 5 წერილისა).

ორი პრემია თითოეული 200-200 ლარის ოდენობით.

კონკურსში გამარჯვებულებს ფულად პრემიასთან ერთად გადაეცემათ სეოკისა და საქართველოს ოლიმპიური აკადემიის — სოა სიგელები, ხოლო სხვა მონაწილეებს შესაბამისი სერთიფიკატები.

სეოკ-ი. სოა

# სეოკ-ის აღმასკომის დადგენილება 2005 წლის ოლიმპიური სპორტისა და ლიტერატურის კონკურსის ჩატარების შესახებ

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ ორგანიზებულ 2005 წლის ოლიმპიური სპორტისა და ლიტერატურის კონკურსის საქართველოს ეროვნული კონკურსის მაღალ ორგანიზებულ დონეზე ჩატარების მიზნით.

სეოკ-ის აღმასკომი ადგენს:

1. 2005 წლის 1 თებერვლიდან 20 სექტემბრამდე ჩატარდეს სოკ-ის მიერ ორგანიზებული ოლიმპიური სპორტისა და ლიტერატურის საერთაშორისო კონკურსის საქართველოს ეროვნული კონკურსი.

2. საქართველოს ოლიმპიური სპორტისა და ლიტერატურის კონკურსის ჩატარების წესები და პირობები დამტკიცდეს (თან ერთვის).

3. კონკურსის ჟიურის ხელმძღვანელობა დაევალოს სეოკ-ის საინფორმაციო-საგამომცემლო და ოლიმპიური განათლების კომისიას (ე. ბერიშვილი).

4. საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა აკადემიამ (ლ. აფციაური) და სეოკ-ის რეგიონალურმა ორგანიზაციებმა სასწავლო ორგანოებთან მჭიდრო ურთიერთობით მიაღწიონ კონკურსში მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის ფართო მონაწილეობას.

5. კონკურსის ჩატარების წესები და პირობები გამოცხადდეს სატელევიზიო ეთერით და მასმედიაში.

6. კონკურსის ჟიურის მიერ კონკურსის შედეგები სეოკ-ში წარმოდგენილ იქნას დასამტკიცებლად ა.წ. 20 სექტემბრისთვის.

## კონკურსის ჩატარების წესები და პირობები

**1. ზოგადი ცნობები**

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ 2005 წელს ორგანიზებული ოლიმპიური სპორტისა და ლიტერატურის საქართველოს ეროვნული კონკურსი ეწყობა 2005 წლის 1 თებერვლიდან 20 სექტემბრამდე. მასალის გაგზავნის და ჩაბარების თარიღი დამოწმებული უნდა იყოს საფოსტო მარკით ან მიმღების დადასტურებით არაუგვიანეს ა.წ. 20 სექტემბრისა.

ქვეყნის მასშტაბით კონკურსს ორგანიზებას უკეთებს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური აკადემია.

**2. წესები**

1) მონაწილენი:

კონკურსი ჩატარდება სამ ასაკობრივ ჯგუფში:

— კატეგორია 1 — 12 წლამდე ასაკის მოსწავლეები

— კატეგორია 2 — 12-18 წლამდე (ჩათვლით) ასაკის მოსწავლეები

— კატეგორია 3 — 19 წლის ასაკის ახალგაზრდები და ზევით.

**3. კონკურსის თემა**

მოსწავლეთა მიერ წარმოდგენილი ნაშრომები უნდა იყოს ოლიმპიურ მოძრაობაზე, ოლიმპიზმზე, ან ოლიმპიური იდეალების ისეთ საკითხებზე, როგორიცაა:

— მოკრძალება და პატივისცემა სხვათა მიმართ

— სწრაფვა გამარჯვებისკენ

— სამართლიანი თამაში

— ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სული

— შრომით მიღებული სიამოვნება.

ნაშრომის მოცულობა:

— პირველი და მეორე კატეგორიებში — „ესსე" (მოკლე თხზულება რომელიმე ზემოჩამოთვლილ თემაზე)

— მესამე კატეგორიაში — მოკლე მოთხრობა რომელიმე ზემოჩამოთვლილ თემაზე, მაქსიმუმ 75000 ნიშანი (1 ნიშანი=1 ასო ან 1 სასვენი ნიშანი ან ერთი გამოტოვებული ადგილი).

**4. შეზღუდვები**

— ყოველ კანდიდატს შეუძლია წარმოადგინოს მხოლოდ ერთი ნაშრომი თითოეულ კატეგორიაში. ამ წესის დარღვევა გამოიწვევს მონაწილის ავტომატურად მოხსნას კონკურსიდან.

# შიდაქართლელთა მისაბაძი თაოსნობა

## ქართული ხალხური ეროვნული თამაშების და ვარჯიშების აღდგენა და მისი ჩატარების ტრადიცია შიდა ქართლში მე-15 წელს ითვლის



1991 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად, გორში ჩატარდა გორისა და გორის რაიონის ახალგაზრდობის პირად გუნდური პირველობა ქართულ ხალხურ თამაშობებში და ვარჯიშობებში. სწორედ იმ დღიდან მიეცა დასაბამი გორში და შიდა ქართლის მხარის რაიონებში ჩვენს ხალხში ძველთაგანვე გავრცელებული თამაშობების და ვარჯიშობების სიუჟეტებზე ახლებურად შედგენილი წესებით მოწყობილ შეჯიბრებებს, რომელთა შედგენის ავტორია რეგიონში ქართული სპორტის მოამაგე, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის შიდა ქართლის ორგანიზაციის ხელმძღვანელი **გივი ხაჩიძე.**

ამ თამაშებმა ხალხში გამოტანამდე აპრობაცია ჩვენს უნივერსიტეტში გაიარა კათედრის წევრების და ფიზიკური აღზრდის სპეციალობის სტუდენტთა მონაწილეობით. დაიხვეწა მოძრაობები, ინვენტარის ზომები, წონები და, რაც მთავარია, დადგინდა შეჯიბრების წესები და ტერმინები, რომლის სრულყოფა არც ისე იოლი აღმოჩნდა. ამ თხუთმეტი წლის განმავლობაში გორში და შიდა ქართლის რეგიონში ეს თამაშობები მოსწავლე და სტუდენტ ახალგაზრდებს შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს პრეზიდენტის სამხარეო ადმინისტრაციას და რაიონების განათლების განყოფილებების ხელმძღვანელებს, სპორტის სამმართველოებს, სეოკ-ის სამხარეო ორგანიზაციას, უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდის თეორიისა და სპორტის კათედრების წევრებს.

ასე იყო წლეულსაც, საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად გორის განათლების განყოფილების მიერ (გამგე გელა ჯაფარიძე) ორგანიზებულ ქალაქის სკოლების პირველობაზე. ოლიმპიური სისტემით ჩატარებულ ამ შეჯიბრებაში ფინალში გასასვლელად ცხრა სკოლის გუნდი დაუპირისპირდა ერთმანეთს, უნივერსიტეტის სპორტული დარბაზი სავსე იყო თამაშებში მონაწილე სკოლების ქომაგებით. იყო შეძახილები, სიხალისე და სიხარული, ჟრიამული, რომელიც ასე აკლიათ დღეს ჩვენს მოზარდებს...

პირველ ტურში მესამესკოლელებმა მეორესკოლელებს აჯობეს. მეშვიდესკოლელებმა მეთერთმეტესკოლელებს სძლიეს, პირველსკოლელებმა მეთორმეტე სკოლის გუნდს მოუგეს, მერვესკოლელები გამარჯვებულები გამოვიდნენ მეათესკოლელებთან შეხვედრაში.

ნახევარფინალში მეშვიდე სკოლის გუნდმა მოუგო მესამე სკოლის გუნდს და ფინალში გავიდა. მეორე ფინალისტი პირველ და მერვესკოლელების შეხვედრამ გამოავლინა. აქ მერვესკოლელებმა იმარჯვეს და ფინალში გავიდნენ.

ეროვნულ თამაშებში და ვარჯიშებში ქ. გორის მოსწავლეთა შორის 2005 წლის საგაზაფხულო პირველობის გამარჯვებული სკოლის გამოსავლენად ფინალში გასული მეშვიდე და მერვე სკოლის გუნდების შეხვედრა ტრადიციულად გ. ერისთავის სახელობის სახელმწიფო თეატრის ბაღში ჩატარდა.

შეხვედრა **„ლახტის"** თამაშით დაიწყო. უფრო მოხერხებულები მეშვიდესკოლელები აღმოჩნდნენ და სამი ქულა დაიმსახურეს.

**„გადაძალვა"** — ასე ჰქვია თამაშს, რომელშიც მწყემსები ერთმანეთის ფეხისგულების მიდებით, კომბალს ხელჩაკიდებულები თავისკენ გადაძალვას ცდილობენ. ამ თამაშში თითოეული გუნდიდან 6 მონაწილე გამოდის. 4:2 მერვე სკოლელთა სასარგებლოდ — ასეთი იყო ამ თამაშის შედეგი.

**„მხედრის ჩამოგდებაში"** ისევ მეშვიდესკოლელებმა 4:2 იმარჯვეს.

**„წრიდან გაყვანა"** — ასე ჰქვია თამაშს, რომელიც „ასკინკილას" სიუჟეტზეა აგებული. ამ თამაშშიც ანგარიშით 5:1 გაიმარჯვეს მეშვიდესკოლელებმა, რომლებმაც ყველა თამაშში მოგროვილი ქულებით 14:7 ქ. გორის სკოლების 2005 წლის საგაზაფხულო გუნდური პირველობა დაიმსახურა „ქართულ ხალხურ თამაშებში" (დირექტორი ვლადიმერ ზექალაშვილი, ფიზაღზრდის მასწავლებელი მერაბ მუზაშვილი).

აღსანიშნავია მერვესკოლელთა წარმატებაც (დირექტორი ნანული დარასველიძე, ფიზაღზრდის მასწავლებელი ...კარელიძე).

თამაშების საზეიმო ვითარებაში ჩატარებისათვის კარგად იზრუნეს ქ. გორისა და გორის რაიონის სპორტის სამმართველოს თავკაცმა გია თენაძემ და გივი ხაჩიძემ.

ფინალში მონაწილე გუნდები და მათი ხელმძღვანელები პრიზებით და ოლიმპიური მაისურებით დაასაჩუქრეს. სპეციალური პრიზები გადაეცათ ყველაზე უმცროს მონაწილეებს — ირაკლი გაგოსხიძეს. სხვადასხვა ნომინაციებში დაჯილდოვდნენ სხვა რჩეულებიც.

**სოსო ვაშაკიძე**
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი

## მძლეოსნობა, ვიქტორინა

**1. სად დაამყარა 1999 წელს მსოფლიოს რეკორდი 100 მ. რბენაში ამერიკელმა სპრინტერმა მორის გრინმა?**

ა — ნიუ-იორკში
ბ — ათენში
გ — მიუნხენში

**2. რამდენი ოლიმპიური ოქროს მედალი მოიპოვა მორბენალმა ლუისმა 1988 წელს.**

ა — არც ერთი
ბ — ერთი
გ — ორი

**3. დაასახელეთ ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონი (1948, 1952) სპრინტერულ დისტანციაზე, ესტაფეტებსა და თარჯრბენში**

ა — ჰარისონ დილერდი
ბ — ლორენცო რაიტი
გ — დინ სმიტი

**4. რა შედეგით გაიმარჯვა პირველ ოლიმპიურ თამაშებში სიმაღლეზე ხტომაში ამერიკელმა ელერი კლარკმა?**

ა — 180 სმ
ბ — 181 სმ
გ — 193 სმ

**5. რომელი წლიდან მონაწილეობენ საქართველოს მძლეოსნები ოლიმპიურ თამაშებში?**

ა — 1952 წლიდან
ბ — 1956 წლიდან
გ — 1960 წლიდან

პასუხები: 1 – ბ, 2 – გ, 3 – ა, 4 – ბ, 5 – ა.


## „ლელოზე" ხელმოწერა გრძელდება

3 თვით — 10 ლარი და 80 თეთრი
6 თვით — 21 ლარი და 60 თეთრი
ხელმოწერის გასაფორმებლად გირჩევთ მიმართოთ „საქპრესას", „მაცნეს", „ინფოსერვისს", „უწყებანს"


### პანკრატიონი. ევროპის ჩემპიონ...

# ისრაელში ქართველებს ქომაგობდნენ...



ამას წინათ, ისრაელის ქალაქ რეჰოვოტში პანკრატიონში (ბრძოლა წესების გარეშე) ევროპის ჩემპიონატზე 12 ქვეყნის — ისრაელის, საქართველოს, რუმინეთის, ბულგარეთის, საფრანგეთის, გერმანიის, ჰოლანდიის, რუსეთის, საბერძნეთის, უკრაინის, ბელარუსისა და მაკედონიის წარმომადგენლებმა მოიყარეს თავი. ჩემპიონატში ჩვენი გუნდი ოთხი სპორტსმენით მონაწილეობდა. ესენია: ჯემალ **როსტომაშვილი, ანზორ ელიზბარაშვილი, პაატა გიორგაძე** და **იოსებ ახალკაცი.** როგორც ჯემალ როსტომაშვილმა გვითხრა, ოთხივე სპორტსმენი მედლებით დაბრუნებულა. როსტომაშვილს (85 კგ), ელიზბარაშვილს (71) და გიორგაძეს (64) თავიანთ წონაში უძლიერესის სახელი დაუმკვიდრებიათ და ევროპის ჩემპიონებიც გამხდარან. ხოლო ახალკაცი (78) ბრინჯაოს მედალს დაუფლებია. ქართველებმა ამ ტურნირზე გუნდური პირველი ადგილიც დაიკავეს. საქართველოს წარგზავნილებს სპონსორობა გაუწია ლატარია „იღბლიანი ბ...რტყმის" პრეზიდენტმა **ნიკო დოდაშვილმა.** ასევე დიდად დაეხმარა ყოფილ თანამემამულეებს ქართველი ებრაელი **შაკო ჯანაშვილი.**

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ჯემალ როსტომაშვილის (მეტსახელად „პიტ ბული") წარმატება. იგი 31 წლისაა. დაიბადა თბილისში. თავიდან თავისუფალი სტილით ჭიდაობაში გამოდიოდა. ძმის, ნიკოს ხელმძღვანელობით ... წლისა საქართველოს ჩემპიონი გახდა. დიდ დახმარებას უწევდა ფინანსურად ახალგაზრდა სპორტსმენს ბიძაშვილი **დავით როსტომაშვილი.**

ჯემალმა ჭიდაობას თავი დაანება 1992-93 წლებში თბილისში დატრიალებული მოვლენების დროს. 1994 წლიდან კი ვარჯიში დაიწყო პანკრატიონში. ხშირად ფულზეც გადიოდა არენაზე, რათა თავი ერჩინა.

2004 წელს მაჰაჩყალაში ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი პანკრატიონში, სადაც ჯემალმა ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ასევე შარშან, თბილისში საერთაშორისო ტურნირი მოიგო, დაამარცხა რა ჯერ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, სომეხი ვადირ ლხატადიანი და „რინგის მეფედ" წოდებული რუსეთელი მსოფლიოს ჩემპიონი იშხან ზაქარონი.

**ლაშა კაიშაური**

**სურათზე:** გამარჯვებული ჯემალ როსტომაშვილი ქართველმა ებრაელებმა ხელში აიტაცეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა


# კარატე-დო

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის საინფორმაციო ფურცელი №25 (39) ივლისი, 2005 წელი




**საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ნაკრები:**
სურათზე დგანან (მარცხნიდან-მარჯვნივ): გიორგი მაჩაბელი, ირაკლი ტყებუჩავა, კახა ბასილია (დელეგაციის ხელმძღვანელი), გიორგი გულიაშვილი, დავით ტყებუჩავა

## ქართული კარატეს ტრიუმფი გერმანიაში

გერმანიის ქალაქმა როზენჰემმა 15-17 ივლისს რიგით მეექვსე მსოფლიოს საბრძოლო ხელოვნებათა თამაშებს უმასპინძლა. ეს არის კარატეს სამყაროში ერთერთი დიდი და წარმომადგენლობითი მსოფლიო ჩემპიონატი, სადაც თითქმის მსოფლიოს ყველა წამყვანი ქვეყნის ეროვნული ნაკრები ასპარეზობდა, საბოლოო ჯამში სპორტსმენთა რაოდენობამ 3000-ს გადააჭარბა. მსოფლიო ჩემპიონატის პრესტიჟულობას კიდევ ის ამაღლებდა, რომ საპრიზო ფონდმა 50 000 ევრო შეადგინა. ეს კი უპრეცენდენტო შემთხვევად შეიძლება ჩაითვალოს მსოფლიოს კარატეს სამყაროში.

ქართული კარატეს მცირერიცხოვანი ეროვნული ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორებმა ერთხმად ერთერთ საუკეთესო ნაკრებად აღიარეს. გარდა ამისა, ჩვენი ნაკრების ეროვნული ფორმაც კი ყველაზე განსხვავებული და საუკეთესო აღმოჩნდა. სწორედ ამ ყველაზე თვალსაცინო ნაკრების მწვრთნელი და ხელმძღვანელი იყო საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი კახა ბასილია.

მაშ ასე, დღე პირველი: საკმაოდ წარმატებული! ქართული კარატეს ნაკრებს ლიდერმა არ არც ახლა უმტყუნათ და პირველივე დღეს ოქროს მედლით დააგვირგვინა მსოფლიო ჩემპიონატი დავით ტყებუჩავამ, რომელიც კუმიტეში მოიპოვა. უნდა აღინიშნოს, რომ ტყებუჩავამ ყველა ბრძოლა აშკარა უპირატესობით წარმართა და ოქროს მედალიც დამსახურებულად მოიპოვა. ტყებუჩავას არც გიორგი გულიაშვილი ჩამორჩა, თუმცა ამ უკანასკნელმა ვერცხლის მედალი საკმაო დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ მოიპოვა, რომელ მედალზეც შეიძლება ითქვას, რომ ოქროზე ნაკლები არაფრით არ არის. პირველი დღის ბოლო მედალი კი ირაკლი ტყებუჩავამ მოგვიტანა, ოღონდ უფრო დაბალი სინჯის — ბრინჯაოს, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ მედლის გარეშე მაინც არ დარჩა მრავალნაცადი სპორტსმენი. მეორე დღეს კი საქართველო გიორგი მაჩაბელმა ასახელა და ოქროს მედალი მოიპოვა კატაში. ბოლო, მესამე დღეს კი კიდევ ერთი ვერცხლი შემატა ჩვენს ნადავლს გიორგი გულიაშვილმა. და ისევ მესამე დღეს: გრანპრის გათამაშებაში გიორგი მაჩაბელმა სულ ერთი ქულის სხვაობით წააგო ესპანელ მოწინააღმდეგესთან და... მაჩაბელმა 5000 ევრო დაკარგა, გრანპირის ჯილდო.

დაბოლოს, საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია მადლობას უხდის გერმანიის კონსულს საქართველოში, რომელმაც გამონაკლისის სახით, უმოკლეს ვადებში მისცა ქართველ კარატისტებს ვიზები, რამაც საკმაოდ დიდი შედეგიც გამოიღო. ასევე დიდი მადლობა საქართველოს კარატე-დოსე ეროვნული ფედერაციის ყველა სპონსორს და, რა თქმა უნდა, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარეს, ბატონ დავით ნამგალაურს, რომელმაც ქართული კარატეს განვითარებასა და მსოფლიო ასპარეზზე წარმატებაში საკმაოდ დიდი წვლილი შეიტანა უკვე. უნდა აღინიშნოს, რომ ქართული კარატეს ნაკრების სრული სპონსორი ამჯერად მხოლოდ სპორტის დეპარტამენტი იყო.



## მსოფლიო მაკაბიადა — ერთი ოქრო და ერთი ვერცხლი

საქართველოს კარატე-დოს ეროვნულმა ფედერაციამ მეორე ნაკრები მსოფლიო მაკაბიადაზე მიავლინა ისრაელში. თავიდანვე უნდა თავიდანვე აღინიშნოს, რომ მსოფლიო მაკაბიადა ოლიმპიური თამაშების შემდეგ ერთ-ერთი ყველაზე დიდი სპორტული ღონისძიებაა.

წლევანდელ მსოფლიო მაკაბიადაზე 55 ქვეყნის 7 000-ზე მეტი სპორტსმენი ასპარეზობდა პრესტიჟული ტიტულისათვის. საქართველოს კარატე-დოს მაკაბის ფედერაციამ ხუთკაციანი ნაკრები გააგზავნა ისრაელში. საქართველოდა სპორტის სულ ორი სახეობა იყო წარმოდგენილი და აქედან პრესტიჟულად კარატე იყო მიჩნეული, რაშიც არც კარატეს და არც მაკაბის ფედერაციის პრეზიდენტი არ შემცდარა. გერმანული მსოფლიო ჩემპიონატის ტრიუმფს გვირგვინად დაადგა ისრაელში მოპოვებული დავით აბრამიშვილის ოქროს და ლევან გორელაშვილის ვერცხლის მედალი. როგორც მაკაბის ხელმძღვანელობამ აღნიშნა დავით აბრამიშვილმა ამ ჩემპიონატზე საკმაოდ მაღალი კლასის კარატე უჩვენა ტატამზე. თუმცა, არც ლევან გორელაშვილმა იასპარეზა ურიგოდ, მაგრამ ამჯერად მან მსაჯთა მხრიდან ნამდვილი უსამართლობა იწვნია და მედლის ხარისხზეც აისახა.

ამ მსოფლიო მაკაბიადაზე კიდევ ერთხელ გაჟღერდა ქართული კარატეს ბრწყინვალება და ჰიმნი და საბოლოოდ დაიმკვიდრა ლიდერის სახელი.



**მარცხნიდან:** დავით აბრამიშვილი, ლევან გორელაშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული კარატეს 2005 წლის შედეგები

## 200 სხვადასხვა სინჯის მედალი






2005 წელი საქართველოს კარატე-დოს ეროვნულმა ფედერაციამ საქართველოს სპორტის დეპარტამენტთან ერთად სპორტული პოლიტიკა რადიკალურად შეცვალა და საკმაოდ წარმატებულადაც. მათი ერთობლივად ჩატარებული სპორტული ღონისძიებების სრულად ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს და მოკლედ მოგახსენებთ: თბილისში ჩატარდა საერთაშორისო ტირნირი – „კავკასიის თასი", სადაც 4 ქვეყნის 1200 კარატისტი იბრძოდა. ამის შემდეგ ქუთაისმა უმასპინძლა აკაკი კიბორძალიძის სახელობის უკვე ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირს. ამ დიდ ტურნირზე 4 ქვეყნის 400-მა სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა. საერთაშორისო ტურნირი ჩატარდა ასევე ზუგდიდში – „პრეზიდენტის თასზე" 3 ქვეყნის სპორტსმენთა შორის, აქ კი 300-ზე მეტმა სპორტსმენი ცდილობდა ამ პრესტიჟული პრიზის მოპოვებას. ზუგდიდს კახეთის არანაკლები საერთაშორისო ტურნირი მოჰყვა. ამ დროისათვის ბოლო საერთაშორისო ტურნირი „ფოთი 2005" იყო, რომელიც ნამდვილად მაღალ დონეზე ჩატარდა. რაც შეეხება გასვლით ტურნირებს: სტამბულის „ბოსფორის თასის" გათამაშება, ბაქოს საერთაშორისო ტურნირი, შემდეგ მოსკოვში და ჩეხეთში, პრაღაში. დაბოლოს – ქართული კარატეს კიდევ ერთი წარმატება გერმანიის მსოფლიო ჩემპიონატი და ისრაელის მსოფლიო მაკაბიადა. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ეს ღონისძიება საქართველოს კარატე-დოს ეროვნულმა ფედერაციამ, სპორტის დეპარტამენტმა და საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა საკოორდინაციო საბჭომ ერთობლივი ძალისხმევით ჩაატარა და წარმატებამაც არ დააყოვნა. საბოლოო ჯამში კი საქართველოს კარატეს სპორტულ მადავლში 200 სხვადასხვა სინჯის მედალია შეტანილი.

დაბოლოს, საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია თავის პარტნიორებთან ერთად ნოემბრის თვეში კიდევ ერთ საერთაშორისო ტურნირს ჩაატარებს, სადაც, წინასწარი ცნობით, უკვე ათმა ქვეყანამ გამოთქვა სურვილი და განაცხადიც გამოაგზავნა.





ნუგზარ ჭიაბერაშვილი, საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენ


## საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია თავის წევრთა ინტერესებს წარმოადგენს საკანონმდებლო ორგანოებში და ხელისუფლებაში. სპორტის დეპარტამენტში, საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტსა და საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებში. ქმნის სექციებს, კლუბებს, ტრადიციული კარატე-დოს ცენტრებს, ეხმარება მათ ორგანიზაციულ მეთოდიკურ საქმიანობაში, არეგულირებს მათი მოღვაწეობის იურიდიულ მხარეს, ორგანიზებას უკეთებს სასწავლო-საატესტაციო სემინარებს სპორტსმენთათვის და მსაჯთა მომზადებასა და ლიცენზირებას საერთაშორისო ფედერაციებში მიღებული ფორმების მიხედვით, ატარებს შოუ-ფესტივალებს და სპორტულ დღესასწაულებს.

空手道

მათ, ვინც დაინტერესდება ჩვენი ფედერაციის საქმიანობით გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე: თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №6, ტელ/ფაქსი: 96-31-89, www.karate.ge საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ცენტრალური ოფისი.


momzadebulia saqarTvelos karate-dos erovnuli federaciis prescentris mier

# ესტონეთი გავიარეთ!

2005-2006 წ. უეფას ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი განმეორებითი მატჩი. ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი. 19 ივლისი. 10000 მაყურებელი

**„დინამო“ (საქართველო) – „ლევადია“ (ესტონეთი) 2-0 (0-1)**

**დინამო:** სტურუა, ალადაშვილი, ქემოკლიძე, ორბელაძე, კანდელაკი, ოდიკაძე, ნოზაძე, ბაბუნაშვილი, (მახარაძე 72), გ. ნუგზარის ძე ჰელიძე, (გიგაური 66), ბობოხიძე, (აკობია 80), მელქაძე.

**ლევადია:** კოტენკო, კალიმულინი, ჩეპაუსკასი, შიშოვი, ხოხლოვ-სიმსონი, ვასილიევი, ნახკი, დმიტრიევი, (შადრინი 58), კაზიმირი, დოვიდენასი, (პურია 63), ზელინსკი (ლეიტანი 46).

**გააფრთხილეს:** ზელინსკი (28), ვასილიევი (45), ქემოკლიძე (37), მახარაძე (75), ოდიკაძე (74-76).

**გააძევეს:** ოდიკაძე (76).

**გოლები:** მელქაძე (45+3), ორბელაძე (49).

**მთავარი მსაჯები:** ა. სუპრა, დ. შლივარი, პ. ბოროვეცი, ჟ. შირიჩი (ყველა — ხორვატია)

**უეფას დელეგატი:** ჟან-ფრანსუა კრუკი (ბელგია)

**მსაჯების ინსპექტორი.** სუეილ დაოდი (ისრაელი).

მატჩი თანაბარ ორთაბრძოლაში დაიწყო, მე-5 წუთზე კარში პირველებმა მასპინძლებმა დაარტყეს. მარჯვენა ფლანგზე მელქაძემ ოდიკაძე მოძებნა, რომლის დარტყმა მეკარემ კუთხურზე მოიგერია. მე-18 წუთზე გაურკვეველ ვითარებაში, ბობოხიძე, თითქმის მარტო დარჩენილი, ვარდნაში შეეცადა გაეტანა გოლი, მაგრამ, უშედეგოდ. საერთოდ, ბობოხიძემ რამდენიმე საგოლე მომენტი გააცუდა.

„ლევადიამ“ მხოლოდ 22-ე წუთზე მოახერხა კარში დაერტყა. არცთუ ადვილი ბურთი სტურუამ მოიგერია. პირველი 45 წუთი იწურებოდა, როცა დინამოელმა ალადაშვილმა მარჯვნიდან კარგად ჩააწოდა თანაგუნდელ მელქაძეს, მან კი ვარდნაში ულამაზესი გოლი გაიტანა — 1-0.

მეორე ტაიმი „დინამომ“ აქტიურად დაიწყო, მალე გუნდმა კუთხურის უფლებაც მოიპოვა. ბაბუნაშვილის ჩაწოდებულს მცველმა ორბელაძემ კარგად დაუხვედრა თავი და თავისიანები მეორე ბურთით დააწინაურა.

ამ გოლის შემდეგ მასპინძლები უფრო თავდაჯერებულები ჩანდნენ, 52-ე წუთზე ბობოხიძემ ცენტრიდან წამოიღო ბურთი, რამდენიმე ფეხბურთელი უკან ჩამოიტოვა და მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა გოლის გატანა კვლავ ვერ შეძლო. სულ რაღაც 6 წუთის შემდეგ კვლავ უშედეგოდ დასრულდა მისი შეტევა. მატჩის ტემპმა იკლო, კახი ცხადაძემ აქცენტი დაცვაზე (ცვლილებებიც ამას მოწმობს) და კონტრშეტევებზე გადაიტანა.

ორწუთიან ინტერვალში ოდიკაძემ ორჯერ მიიღო გაფრთხილება და თავისი გუნდი ათი მოთამაშით დატოვა. სტუმრები უფრო გააქტიურდნენ, ეს გასაგებიც იყო, მათ ერთი გოლის გატანა სჭირდებოდათ. 81-ე წუთზე სტუმრებმა სახიფათო მომენტი შექმნეს მასპინძელთა კართან, მაგრამ ახლო მანძილიდან დარტყმული ძელმა მოიგერია.

მატჩი მთავრდებოდა, როცა შეცვლაზე შესულმა აკობიამ მარცხენა ფლანგზე ბოლომდე იბრძოლა, ვარდნაში ბურთი აართვა სტუმართა მცველს და მეკარესთან პირისპირ გასულმა ვერ გაიტანა გოლი. ეს იყო ბოლო სახიფათო მომენტი.

თბილისის „დინამო“ შემდეგ ეტაპზე გავიდა. მეტოქე დანიური „ბრონდბიუ“ იქნება. პირველი მატჩი თბილისში გაიმართება 26 ივლისს.

მატჩის დასრულებისთანავე გაიმართა პრესკონფერენცია.

**ტარმო რუიტლი.** (ლევადია): „რთული თამაში იყო, ორივე გუნდი კარგად თამაშობდა, სამწუხაროა, რომ გოლის გატანა ვერ მოვახერხეთ“.

**კახა ცხადაძე.** (დინამო): „უზომოდ გახარებულები ვართ, მე მგონი დამსახურებულად გავიმარჯვეთ. პირველი ტაიმი ძალიან ნერვული იყო, რაც შეეხება მეორე ტაიმს, აშკარა უპირატესობა გვქონდა და შეგვეძლო დიდი ანგარიშით დავწინაურებულიყავით. მართალია, ცოტა პრობლემებიც შეგვექმნა, მაგრამ ყველაფერი კარგად დამთავრდა. დიდი მადლობა ფეხბურთელებს, ყველამ დიდი წვლილი შეიტანა ამ გამარჯვებაში“.

ცხადაძემ ჟურნალისტების კითხვებსაც გასცა პასუხი.

— „მართალია, დიდი ძალები დავხარჯეთ ამ გამარჯვებისთვის, მაგრამ შევეცდებით მალე აღვიდგინოთ ფორმა და უკეთესად მოვემზადოთ „ბრონდბიუსთვის“.

მომავალი მეტოქის თამაში, სამწუხაროდ, არ მინახავს, მაგრამ მოვიპოვებთ ვიდეოჩანაწერს და შევისწავლით მეტოქეს“, — თქვა ცხადაძემ.

**კახა მგელაძე.**



ფოტო ელდარ მალზაზიშვილისა

## ჩემპიონთა ლიგა. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი

**19-20 ივლისი. საპასუხო მატჩები**

**დინამო (თბილისი, საქართველო)** — ლევადია (ესტონეთი) 2-0 (0-1)
**კაუნასი (ლიტვა)** — HB ტორსჰავნი (ფარერები) 4-0 (4-2)
ლანსანტფრეიდი (უელსი) — **ლივერპული (ინგლისი)** 0-3 (0-3)
პიუნიკი (სომხეთი) — **ჰაკა (ფინეთი)** 2-2 (0-1)
სკონტო (ლატვია) — **რაბოტნიჩკი (მაკედონია)** 1-0 (0-6)
ზრინსკი (ბოსნია) — **დუდელანჟი (ლუქსემბურგი)** 0-4 დ.დ. (1-0)
**ანართოსისი (კვიპროსი)** — დინამო (მინსკი, ბელარუსი) 1-0 (1-1)
**შერიფი (მოლდოვა)** — სლიმა (მალტა) 2-0 (4-1)
**ტირანა (ალბანეთი)** — ნოვა გორიცა (სლოვენია) 3-0 (0-2)
**შელბურნი (ირლანდია)** — გლენტორანი (ჩრ. ირლანდია) 4-1 (2-1)
**არტმედია (სლოვაკეთი)** — კაირატი (ყაზახეთი) 4-1 დ.დ. (0-2)
ჰაფნარფიორდი (ისლანდია) — **ნეფთჩი (აზერბაიჯანი) 1-2 (0-2)**

**ჩემპიონთა ლიგა. მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი**

კაუნასი (ლიტვა) — ლივერპული (ინგლისი)
დინამო (თბილისი, საქართველო) — ბრონდბიუ (დანია)
დებრეცენი (უნგრეთი) — ჰაიდუკი (ხორვატია)
რაბოტნიჩკი (მაკედონია) — ლოკომოტივი (მოსკოვი, რუსეთი)
დინამო (კიევი, უკრაინა) — თუნი (შვეიცარია)
მალმიო (შვედეთი) — მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი)
ვოლერენგა (ნორვეგია) — ჰაკა (ფინეთი)
დუდელანჟი (ლუქსემბურგი) — რაპიდი (ავსტრია)
პარტიზანი (სერბეთი) — შერიფი (მოლდოვა)
არტმედია (სლოვაკეთი) — სელტიკი (შოტლანდია)
ტირანა (ალბანეთი) — ცსკა (ბულგარეთი)
ანდერლეხტი (ბელგია) — ნეფთჩი (აზერბაიჯანი)
შელბურნი (ირლანდია) — სტიაუა (რუმინეთი)
ანართოსისი (კვიპროსი) — ტრაბზონი (თურქეთი)

**პირველი მატჩები — 26 — 27 ივლისი**
**საპასუხოები — 2 — 3 აგვისტო**

# წარმოადგინეთ განაცხადები

საქართველოს XVII ეროვნული ჩემპიონატის დაწყებამდე ერთ კვირაზე ოდნავ მეტი რჩება. მოახლოებულ პირველობას კლუბების განაცხადების წარმოდგენის გარეშე არავინ დაიწყებს. პროფესიული ფეხბურთის ლიგის საშეჯიბრო სამსახურის უფროსმა ნოდარ კაკულიამ უმაღლესი ლიგის თექვსმეტივე კლუბს შეუდგინა და დაუგზავნა კიდეც განაცხადების მიღების გრაფიკი თარიღისა და დროის მითითებით, რომელსაც აქვე გთავაზობთ.

დღეს, 14 საათზე სფფ-ს სააქტო დარბაზში, ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტი, ისევ შეიკრიბება და ეროვნული ჩემპიონატისა და თასის გათამაშების ჩატარების სისტემაზე კიდევ ერთხელ ვრცლად იმსჯელებს და ორივე ტურნირის დებულებას დაამტკიცებს. განიხილავენ სხვა მნიშვნელოვან საკითხებსაც.

## უმაღლეს ლიგაში მონაწილე გუნდების განაცხადის მიღების გრაფიკი

**25 ივლისი**
1. დინამო სოხუმი 10.00 სთ.,
2. სპარტაკი თბილისი 12.00 სთ.,
3. ცხინვალი ცხინვალი 14.00 სთ.,
4. დილა გორი 16.00 სთ.

**26 ივლისი**
1. ლოკომოტივი თბილისის 10.00 სთ.,
2. სიონი ბოლნისი 12.00 სთ.,
3. ტორპედო ქუთაისი 14.00 სთ.,
4. თბილისი თბილისი 16.00 სთ.

**27 ივლისი**
1. თელავი კახეთი 10.00 სთ.,
2. ზესტაფონი ზესტაფონი 12.00 სთ.,
3. კოლხეთი ფოთი 14.00 სთ;
4. დინამო ბათუმი 16.00 სთ.

**28 ივლისი**
1. დინამო თბილისი 10.00 სთ.,
2. ბორჯომი ბორჯომი 12.00 სთ.,
3. ამერი თბილისი 14.00 სთ.,
4. ვიტ. ჯორჯია თბილისი 16.00 სთ.

# მერიამ ფოთს ხელი დაატყო

ქალაქის მერის, **ვანო საღინაძის** მონდომებით, ფოთში ფეხბურთი მკვეთრად გამოცოცხლდა. „კოლხეთის“ თავკაციც ენერგიულად მუშაობს. **სოსო ფილიას** გუნდის ძირითადი ბირთვი, თითქმის შეგულებული ჰყავს. სენაკიდან გადმობირებულ, რამდენიმე ახალწვეულს, ზურგს გამოცდილი **ბათიაშვილი, ქუტიძე, მარგალიტაძე, ვართაგავა** და **ქუთათელაძე** გაუმაგრებენ. მთავარ მწვრთნელს გასინჯვაზე სამოცზე მეტი ფეხბურთელი ჰყავს. ოპტიმალური შემადგენლობის ფორმირება შეუჩერებლად მიმდინარეობს. ფოთელებს დღეს თელაველებთან საწვრთნელი მატჩი აქვთ, რომლის შემდეგაც დადგინდება გუნდის საბოლოო განაცხადიც.

# ქუთაისი გივი ნოდიას გაიხსენებს

კვირას, 24 ივლისს, 13 საათზე, ქუთაისში საფეხბურთო საზოგადოებრიობა ჩინებულ პიროვნებას და შესანიშნავ ფეხბურთელს **გივი ნოდიას** გაიხსენებს. სამი თვის წინ, გარდაცვლილ ვეტერანს მოიგონებენ ახლობლები, მეგობრები და თანაგუნდელები. სახლს, სადაც იგი დაიბადა და კარგახანს ცხოვრობდა, გაუკეთდება მემორიალური დაფა.

# გმადლობთ, გაიოზ მას...

სანდრო კოტორაშვილმა მოიყვანა რედაქციაში. რედაქტორის მიწვევის გარეშე, კაბინეტში არ შეჰყვა სანდროს. ეს უკვე ისეთი შტრიხი იყო, რომელიც ხაზს უსვამდა პიროვნების ზრდილობას. ძალიან მორიდებული იყო, ის კი არა, ვთხოვეთ ცოტა ხმამაღლა ელაპარაკა, როცა სასაუბროდ დავსხედით.



**მირზა ბჟალავა** ჯერ მხოლოდ 17 წლისაა, მაგრამ შთამბეჭდავი ნაბიჯები აქვს ფეხბურთში გადადგმული მესამე კლასში სწავლის პერიოდიდან მოყოლებული.

უპირველესად პირველ მწვრთნელზე ვკითხეთ. „შევარდენში“ დაუწყია ფეხბურთთან დამეგობრება **გოგი იაშვილთან**, მერე „მარდში“ **გაიოზ დარსაძის** სამწვრთნელო ქურაში გაუვლია წრთობა, გამოდიოდა 17 წლამდელთა საქართველოს ნაკრებში, წლეულს კი **კობა ჟორჟიკაშვილმა** 18 წლამდელთა ნაკრებში მიიწვია, სწორედ იმ გუნდში, რომელმაც ახლახან ლინიანოში ევროპის ახალგაზრდობის

იხ. მე-4 გვ.

# მადლობა მთარგმნელს

დიდი ინტერესით ვკითხულობდი „ლელოს“ ფურცლებზე იგორ ფესუნენკოს წიგნის „დიდი გზა პელესკენ“ **ნუგზარ მჭედლიშვილის** თარგმანს. უნდა გითხრათ, რომ ქართულ ტექსტში აშკარად ჩანს მთარგმნელის როგორც საერთო, ისე საფეხბურთო ერუდიცია, გამართული სტილი. კარგია, რომ რედაქცია ავტორისეულ სტილში არ ჩაერია. სწორი დასკვნა გაგიკეთებიათ.

დიდი მადლობა ბატონ ნუგზარს, რომ მშობლიურ ენაზე წაგვაკითხა ეს ბრწყინვალე წიგნი, ფეხბურთის ბრწყინვალე დიდოსტატზე.

P.S. მადლიერ მკითხველთა აზრს იზიარებს ცნობილი ჟურნალისტი, ფეხბურთის თემაზე თავად არაერთი წიგნის ავტორი **შალვა ქირია.**

# ლეგიონერი შინ ბრუნდება

**უცხოეთში მოთამაშე ქართველი ფეხბურთელი შინ იშვიათად ბრუნდება. თუმცა, გამონაკლისიც არსებობს. მოახლოებულ ეროვნულ ჩემპიონატში ორი მათგანი საქართველოში გააგრძელებს საფეხბურთო კარიერას.**

ქვეყნის ჩემპიონი, რამდენიმე დღეში კარგ მცველს შეიმატებს. უმაღლესი ლიგის დებიუტანტი „ამერი“ კი პერსპექტიული მეკარით გაძლიერდება.

თბილისის „დინამოს“ გუნდიდან ორი წლის წინათ წასული **ალექსანდრე ამისულაშვილი** დაუბრუნდა. უკრაინაში ალეკოს კარიერა ვერ აეწყო. მან, ვერც კიევის „დინამოში“, ვერც დნეპროპეტროვსკის „დნიპროში“ მოიკიდა ფეხი. ახლა კი მის, უიღბლო საზღვარგარეთულ კარიერას, ალბათ, წერტილი დაესმება.

„დინამოში“ ამისულაშვილთან ერთად შეიძლება, აქამდე ბულგარეთში მოთამაშე ნახევარმცველი **კოტე დარსანიაც** გამოჩნდეს, რომელიც „ჩერნო მორეს“ ღირსებას იცავდა. ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე დანიურ „ბრონდბიუსთან“ პაექრობამდე, „დინამო“, ალბათ ორივესთან გააფორმებს კონტრაქტს და ისინი გუნდს რთულ მეტოქეებთან ჭიდილში შეეშველებიან. „დინამოში“ შეიძლება ფორვარდი სანდრო იაშვილიც გამოჩნდეს.

საქართველოში დაბრუნდა ფინეთის კტპ-ს კარის დარაჯი **გიორგი ნიკურაძე**, რომელიც თბილისის „ამერში“ ჩაირიცხება. გიორგის ფინეთში გატარებული ოთხი წლის შემდეგ ნოსტალგიის გრძნობა გაუჩნდა, სამშობლო მოენატრა და შინ დაბრუნდა. იგი არჩევანითაც კმაყოფილია, „ამერს“ ამბიციურ, პერსპექტიულ გუნდად მიიჩნევს და თვლის, რომ გუნდს თავადაც გამოადგება.

ახლიდან დაკომპლექტების პროცესი მიმდინარეობს „თბილისში“. კლუბის თავკაცობა იმათ ძიებაშია, ვინც გუნდს ახალ სეზონში გამოადგება. ასეთად კი მათ, მოლდოვეთის „ნისტრუში“ მოთამაშე **ბესო ხაჭიპერაძე** ეგულებათ და ორიოდე დღის წინ, კიშინიოვიდან ფეხბურთელის ტრანსფერიც გამოითხოვეს.

# «ტორპედო» კი იშლება

ცუდი დღეები უდგას ქვეყნის ვიცე-ჩემპიონს. უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის პირველივე მატჩმა ბელარუსულ „ბატესთან“ ქუთაისელების გასაჭირი თვალნათლივ გამოაჩინა. ევროპული მატჩების შემდეგ გუნდს პრეზიდენტი დატოვებს, წასვლა სურთ ძირითადის ფეხბურთელებსაც. „ტორპედო“ ახალგაზრდა, გამოუცდელი ფეხბურთელების და მარტო ქალაქის მერიის შემყურე რჩება. ახლა კოჭის ტრავმაც გაუმიზეზდა გუნდის კაპიტანს **დავით გამეზარდაშვილს**, რომელმაც „ბატესთან“ საპასუხო მატჩი შეიძლება ვერ ითამაშოს. დათოც გუნდიდან წასვლას აპირებს. მისი არჩევანი კი შეიძლება რუსულ ან ბალტიისპირულ რომელიმე კლუბზე შეჩერდეს. გამეზარდაშვილი, ამჟამად, ტრავმას იშუშებს და ტრანსფერის განხორციელებას ელოდება. ტორპედოელთა რიგები უკვე დატოვეს **რაქვიაშვილმა** და **ბოლქვაძემ**, რომლებიც ბოლნისის „სიონს“ გრიგოლეთში საწვრთნელ შეკრებაზე შეუერთდნენ. ასე რომ, ქუთაისური გუნდის მომავალი საკმაოდ ბუნდოვანია. გუნდიდან წავიდა **ოთარ გაბელიაც**. შპს. ს.კ. „ტორპედო“ კი გაუქმდა და ჩამოყალიბდა შპს. „ქუთაისის ტორპედო“. ახალი მწვრთნელი **რევაზ ბურკაძეა.**

„ქართული ფეხბურთის“
რედაქტორი
**მიხეილ საბახტარიშვილი**

გამოხმაურება

# სამი შეკითხვა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სპორტული სკოლების ხელმძღვანელებს

**1. მიგაჩნიათ თუ არა, რომ ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლებში ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში უნარ-ჩვევების გამოსამუშავებლად და დიდი სპორტისთვის ნიჭიერთა უფრო ეფექტურად მოსამზადებლად, საჭიროა რეფორმა. თქვენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს საამისოდ?**
**2. აკმაყოფილებს თუ არა მატერიალურ-სპორტული ბაზა სკოლის მოთხოვნებს?**
**3. თქვენი აზრით, სპორტსკოლამ უნდა გაუწიოს თუ არა კოორდინაცია რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობაში და საჭიროა თუ არა ამისათვის სახსრების გამოყოფა?**
ეს შეკითხვები გამოქვეყნდა „ლელოს“ №53-სა და №54-ში.

**შეკითხვებს უპასუხებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბავშვთა-მოზარდთა ოლიმპიური რეზერვების მძლეოსნობის სპეციალიზებული სპორტული სკოლის დირექტორი მიხეილ ოდიშარია**

1. არ არის საჭირო ველოსიპედის გამოგონება, უბრალოდ, ვიხელმძღვანელოთ ქართული სპორტის დიდი მოჭირნახულის, აწ განსვენებული გიორგი მერკვილაძის იდეებით, რაც ძალიან მარტივია და გულისხმობს შემდეგს: განათლების სისტემაში მუშაობენ ბავშვთა სპორტული სკოლები, ტარდება ყველა ასაკში სხვადასხვა მასშტაბის შეჯიბრებები, ნიჭიერი ბავშვები გადაჰყავთ თბილისში მათი შემდგომი დაოსტატებისათვის სკოლა-ინტერნატში, სადაც სპორტის ყველა წამყვანი სახეობა უნდა იყოს დანერგილი.

ამ იდეის განხორციელებას, ოღონდ, ვიწრო პროფილით (მძლეოსნური), ემსახურებოდა განათლების სამინისტროს მძლეოსნობის ბავშვთა-მოზარდთა რესპუბლიკური სპორტული სკოლის სპორტული ცენტრის პროექტიც 80 ბავშვზე, რომლის მშენებლობაც შეჩერდა 1989 წელს ქვეყანაში მომხდარი ცნობილი მიზეზების გამო.

2. რაიონებში მძლეოსნებისათვის სასპორტო სკოლებს არ გააჩნიათ ელემენტარული ბაზა. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ოლიმპიური ჩემპიონის რობერტ შავლაყაძის სახელობის ბავშვთა-მოზარდთა ოლიმპიური რეზერვების სპეციალიზებული ცენტრალური სასპორტო სკოლა, ქუთაისისა და ბათუმის სასპორტო სკოლები, რომელთა ბაზებიც საჭიროებენ სასწრაფო რეაბილიტაციას, ვინაიდან სავალალო მდგომარეობაშია.

3. მიგვაჩნია, რომ აუცილებელია ადგილობრივ სასპორტო სკოლებმა გაუწიონ კოორდინაცია რაიონებში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობას ბავშვებს შორის, ადგილებზე უნდა ტარდებოდეს სხვადასხვა მასშტაბის შეჯიბრებები, ნიჭიერი ბავშვები კი უნდა მიიწვიონ აქტიურ სპორტში, რაც გარკვეული თანხების გამოყოფასთან არის დაკავშირებული. ძირითადია ქვეყნის მასშტაბის ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება სასკოლო სამივე ასაკის ბავშვებისათვის, ასევე ყველა სხვა სახის ხელშეწყობა, რაც ბავშვთა სპორტს ამჟამად ასე აკლია.

აქვე მოგაწვდით ჩვენს მოსაზრებებს ბავშვთა სპორტის (მძლეოსნობის) დღევანდელი რეალობის შესახებ. კერძოდ, 2000-2004 წლებში შეწყვეტილი იყო განათლების სისტემის რესპუბლიკური სასპორტო სკოლების დაფინანსება, რამაც, ფაქტობრივად, მუშაობის პარალიზება გამოიწვია ამ სკოლებში. მას შემდეგ, რაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მოვიდა ახალი ხელმძღვანელობა (ალექსანდრე ლომაია და მისი გუნდი), დაიწყო დაფინანსება-რეაბილიტაცია 2005 წლის იანვრიდან, რის შედეგადაც მძლეოსნობაში ჩატარდა საქართველოს ორი შეჯიბრება სხვადასხვა სასკოლო ასაკში. თითოეულ შეჯიბრებაში მონაწილეობდა 400-ზე მეტი სპორტსმენი. ადგილებზე განათლების განყოფილებებს წინასწარ დაეგზავნათ შეჯიბრებების დებულება, ჩაატარეს რაიონული და საქალაქო შესარჩევი ეტაპები და თბილისში ქვეყნის მასშტაბის შეჯიბრებებზე ჩამოიყვანეს ნაკრები გუნდები. ძვეთივე ძპარეზობა იგეგმება წლეულს ოქტომბერში.

ყურადსაღებია, ჩვენს სამინისტროს გათვალისწინებული აქვს სპორტული ღონისძიებებისა და სახელფასო ფონდის ყოველწლიური პროცენტული ზრდა 2006-დან — 2009 წლის ჩათვლით.

80-იან წლებში დაშვებული იყო მიუტევებელი შეცდომა, როცა სპორტული პროფილის ორი სკოლა-ინტერნატიდან ერთი გაუქმდა, მეორე კი მაშინდელ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტს გადაეცა, რამაც გამოიწვია კონტინგენტის ხარისხობრივი და რიცხობრივი შემცირება.

იმედს გამოვთქვამთ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ერთობლივი, მიზანმიმართული მუშაობის შედეგად ბავშვთა მასობრივი სპორტი უთუოდ აღორძინდება ჩვენს ქვეყანაში.

**მიხეილ ოდიშარია**
**განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბავშვთა-მოზარდთა ოლიმპიური რეზერვების მძლეოსნობის სპეციალიზებული ცენტრალური სასპორტო სკოლის დირექტორი.**

# გმადლობთ, გაიოზ მას...

**მესამე გვერდიდან**

ოლიმპიურ ფესტივალზე ფეხბურთელთა ფინალურ ტურნირში მასპინძელთა ნაკრები დაამარცხა და მთავარ პრიზს დაეუფლა. სწორედ ამ გუნდის კაპიტანია **მირზა ბჟალავა.**

გაგვაოცა ამ ბიჭის რედაქციაში მოსვლის მიზეზმა. საამაყო როგორ არ აქვს მას და მისი გუნდის წევრებს, რომლებმაც ესოდენ მაღალ წარმატებას მიაღწიეს ოლიმპიურ ფესტივალზე, მაგრამ ამაზე სანამ არ დავაძალეთ, კრინტი არ დაუძრავს.

„იმისთვის მოვედი, რომ თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადავუხადო ჩემს მწვრთნელებს, ჩემი თანაგუნდელების აღმზრდელებს, რომლებმაც ყველაფერი მოგვცეს და ქართული ფეხბურთის მდიდარი ტრადიციების კვალში ჩაგვაყენეს“ — თქვა მირზამ.

თურმე ქორქიკაშვილის ნაკრების ძირითად ბირთვს გაიოზ დარსაძის დაფრთიანებული ექვსი ფეხბურთელი — ზურაბ გვაძაბია, გიორგი ელბაქიძე, რატი წინამძღვრიშვილი, გიორგი ნიკალაშვილი, რეზო თევდორაძე და თავად მირზა ბჟალავა შეადგენდნენ. ახლა თევდორაძის გარდა ეს ბიჭები „ამერში“ თამაშობენ უმაღლეს და პირველ ლიგაში.

მირზამ საინტერესო ამბავი გვიამბო. ფესტივალზე გამგზავრებამდე ნაკრებთან თურმე ხშირად მიდიოდა **ნოდარ ახალკაცი** და გაიოზ დარსაძე. ისინი ვარჯიშებს ესწრებოდნენ, მერე მთელი გუნდი მუზეუმებში, თეატრებში, ოპერაში და ისტორიული ძეგლების მოსანახულებლად დაჰყავდა დარსაძეს. „ასე შეგვაგრძნობინა გაიოზ მასწავლებელმა ვინ ვართ, რა ქვეყნის შვილები ვართ, რა ტრადიციები გვაქვს და რომ არავიზე ნაკლები არა ვართ“ — გვეუბნება ნაკრების კაპიტანი.

მირზა და მისი მეგობრები აბიტურიენტები არიან. დიდი იმედი აქვთ, რომ სტუდენტები გახდებიან. წლეულს პირველად, საერთო ეროვნულმა გამოცდებმა სპორტსმენებსაც მკაცრი მოთხოვნა წაუყენა — მხოლოდ ცოდნა! გაიოზ დარსაძემ შეგირდებს ფეხბურთთან ერთად წიგნი თუ წიგნთან ერთად ფეხბურთი შეაყვარა. ისინი ამ სიყვარულს დღემდე ერთგულობენ და მუდამ უერთგულებენ.

რედაქციიდან სტუმარს ისე როგორ გავუშვებდით, რამდენიმე შეკითხვა არ დაგვესვა.

◆ ***როდის იგრძენით, რომ შეიძლებოდა ტურნირის მოგება?***

— შვეიცარიელებთან გამარჯვების შედეგ, მაგრამ საბოლოო წარმატების რწმენა განგვიმტკიცდა მას შემდეგ, რაც ფინალში გავედით.

◆ **რა იძლეოდა ასეთი თავდაჯერებულობის მუხტს, ფინალში ხომ იტალიელებს ხვდებოდით...**

— რაც მთავარია, ყველამ კარგად ვიცოდით, რომ არავისზე ნაკლები არ ვართ. ჩვენგან გამარჯვებას არა მხოლოდ ლინიანოში მყოფი ხელმძღვანელები, არამედ, მთელი საქართველო მოელოდა და ბედნიერები ვართ მიზანს, რომ მივაღწიეთ.

◆ ***მსაჯობაზე რას იტყვი?***

— აშკარა არაობიექტურობა არ ყოფილა, თუმცა, იტალიელებთან შეხვედრაში მსაჯის სიმპათიები რომ მასპინძლების მხარეს იყო, ვგრძნობდით. ამას ჩვენზე არ უმოქმედია. ისე ვთამაშობდით, როგორც დაგეგმილი იყო, გარეშე ფაქტორებისათვის ყურადღება არ უნდა მიგვექცია და ასეც მოხდა, საზღაურად კი სასურველი შედეგი მივიღეთ.

ც. ბაქრაძე.
ფოტო ა. კოტორაშვილისა.



# თქვენთვის, ფეხბურთის ერუდიტებო!

დაიბადა 1952 წლის 10 მაისს ქალაქ ტინგუაში (რიო-დე-ჟანეიროს შტატი, ბრაზილია). სამწვრთნელო კარიერა დაიწყო 1983 წლიდან. სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდა ბრაზილიის საკლუბო გუნდებს: „კამპო გრანდეს“, „რიო ბრანკოს“, „ფლუმინენსეს“, „ფლამენგოს“, „პალმეირასს“, „სანტოსს“, „კორინტიანსს“. 2004 წლის დეკემბრიდან სათავეში ჩაუდგა ესპანეთის „რეალ მადრიდს“. სამწვრთნელო კარიერის მანძილზე იყო „კოპა ამერიკის“, ბრაზილიის ლიგის და თასის არაერთგზის მფლობელი. ხელმძღვანელობდა ბრაზილიის ოლიმპიურ ნაკრებს.

ვინაა იგი?

# წერილი რედაქციას!

ცნობა იმის შესახებ, რომ საფეხბურთო კლუბ „ცხუმის“ ნაცვლად სოხუმის „დინამოს“ აღდგენას აპირებენ, მრავალსაუკუნოვანი პოპულარული ქართული ეროვნული თამაშის ლელოს სახელწოდების მქონე გაზეთის ფურცლებიდან საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, აფხაზეთის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის ინციატორის, 1990-91 წწ საექსპერტო კომიტეტის თავმჯდომარის, ცნობილი ქართველი კინორეჟისორის, ბატონ ალექსანდრე ჟღენტის პუბლიკაციიდან შევიტყვეთ. სხვათა შორის, ბატონი ალექსანდრე ის ცნობილი ეროვნული კინორეჟისორია, რომელმაც 1988 წელს სპორტული ფილმების კინოფესტივალზე ქ. პალერმოში (იტალია) პირველი ადგილი და ოქროს მედალი დაიმსახურა, ხოლო მეორე მისმა ფილმმა „სტადიონი“ ასევე პირველი და ოქროს მედალი მიიღო 2003 წელს ქალაქ მილანში (იტალია) გამართულ კინოფესტივალზე.

ჩვენ, ქართული ფეხბურთის ქომაგებს, ძალიან კარგად გვახსოვს 1990-91 წლებში ფეხბურთში საქართველოს პირველობაზე მოასპარეზე ქართული სახელწოდების საფეხბურთო გუნდების – „იბერია“, „კოლხეთი“, „ცხუმი“ და სხვათა მონაწილეობა ეროვნულ ჩემპიონატში. დღეს ჩვენთვის ამაღელვებელი და უდიდესი სიხარულის მომგვრელია 1990 წ. 30 მარტს პირველი ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის გახსნის მოგონება. ამ დღეს ხომ თბილისის „იბერია“ და ფოთის „კოლხეთი“ ხვდებოდნენ ერთმანეთს?

ეროვნულ სტადიონზე ხომ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თავკაცი და საქართველოს მომავალი პრეზიდენტი ბატონი ზვიად გამსახურდია მიესალმა ჩემპიონატის გახსნას. თავისი ისტორიული გამოსვლა მან ასე დაასრულა: „გაუმარჯოს დამოუკიდებელ ქართულ ფეხბურთს! გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს“! ჩვენ, ქართული საზოგადოების, ფეხბურთის ქომაგების უდიდესი ნაწილი არ დავუშვებთ ჩეკისტური „დინამოების“, საბჭოური „ტორპედოების“ და „ლოკომოტივების“ აღდგენა – აღორძინებას. ქართველმა სპორტის მოყვარულებმა უკვე ერთხელ და სამუდამოდ თქვეს ამაზე უარი!

ისე კი, დღევანდელ საქართველოში ბედის ირონიაა ის, რომ საკვებ პროდუქტს „სოსისს“ იბერიას არქმევენ, ხოლო სპორტულ გუნდს – „დინამოს“. სხვათა შორის, ეს მოსწრებული ხუმრობაც ბატონ ალექსანდრე ჟღენტს ეკუთვნის.

გიორგი კაჭარავა,
ეკონომიკის ექსპერტი, გამომგონებელი, საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი
დიმიტრი ომანაძე, აფხაზეთიდან დევნილი, პოლიტოლოგი
აფხაზეთიდან დევნილები: ა. ბურჯანაძე,
ნ. ბულეისკირია და სხვ.



# ფოტო – არქივიდან...

1924 წელი. ფოთის ფეხბურთელთა გუნდი „ურანი“. მარცხნიდან: გოგი გოგინავა (მწვრთნელი), გრიშა კინწურაშვილი, მიხეილ ზიმლიცკი, ცაკუ ჭითანავა, აკაკი ჟღენტი, ვალოდია შუბლაძე (გუნდის თავი), კოწია ჯალაღანია, სა... ალიმონაკი, მიშა ანთიძე, ვასილ შუბლაძე, გრიგოლ იმნაძე, ჯინსუტი სიჭინავა.

# მონდომების საზღაური

„სპორტი – ყველასათვის“

როცა ვლაპარაკობთ „სპორტი — ყველასათვის“, უპირველესად, ალბათ, მაინც ფეხბურთი იგულისხმება, რადგან სპორტის ეს სახეობა ერთნაირად იტაცებს სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანებს. ისინი კი, ვინც ფეხბურთის მოყვარულებს მხარში უდგანან, სამართლიანად იმსახურებენ პატივისცემას.

2003 წელს **ნუგზარ ფირანიშვილმა** სოფლის მეურნეობის მინისტრის **დავით კირვალიძის** დავალებით სამინისტროს თანამშრომლებისაგან საფეხბურთო გუნდი ჩამოაყალიბა, რომლის მოთამაშე მწვრთნელიც თვითონ გახდა. იმავე წელს სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფკავშირების (თავმჯდომარე ი. ბეჟაშვილი) მიერ ორგანიზებულ მინი-ფეხბურთის ტურნირში სამინისტროებსა და სახელმწიფო უწყებებს შორის, სოფლის მეურნეობის სამინისტროს გუნდმა პირველი ადგილი მოიპოვა 16 გუნდს შორის.

აღსანიშნავია, რომ გამარჯვებულის რიგებში თამაშობდა მინისტრი დავით კირვალიძე, რომელმაც თავი არ და... და დამსახურებულად ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი დაიმსახურა, ხოლო გუნდის წევრები მამუკა ივანიაძე და დათო ცომაია საუკეთესო მცველის პრიზით დააჯილდოვეს. წლეულს, გუნდის შედეგი შედარებით მოკრძალებული იყო — მხოლოდ მე-3 საპრიზო ადგილი, მაგრამ მამუკა ივანიაძე ისევ საუკეთესო მცველი გახდა, ხოლო გუნდის მწვრთნელი ნუგზარ ფირანიშვილი, როგორც 2003 წელს, ასევე 2005 წელსაც შსს გუნდის მწვრთნელთან თენგიზ **ფანცულაიასთან** ერთად საუკეთესო მწვრთნელად აღიარეს.

ბოლოს დავძენთ, რომ ნუგზარ ფირანიშვილი წარსულში სპორტის ოსტატი იყო თავისუფალ ჭიდაობაში და მრავალი წელი საბჭოთა კავშირის ნაკრების ღირსებას იცავდა. მისი უფროსი ვაჟი, 16 წლის **ირაკლი ფირანიშვილი** ... თბილისის „თბილისში“ თამაშობს ფეხბურთს, პატარა გიორგი კი მოჭიდავეა.

ც. ბაქრაძე.

**სურათზე:** I რიგში: მარცხნიდან მეოთხე დავით კირველიძე; II რიგში: მარჯვნიდან მესამე ნუგზარ ფირანიშვილი.
**ფოტო ელდარ მალხაზიშვილისა.**



# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## ხავი ერნანდესი: «ასეთი «ბარსელონა» არასდროს მინახავს»

**ხავი ერნანდესი 8 წელიწადია იცავს ესპანეთის „ბარსელონას" ღირსებას. ისეთი დაბალანსებული გუნდი, როგორიც დღეს არის, არასოდეს უნახავს. გთავაზობთ ხავი ერნანდესის მიერ „სოკერისათვის" მიცემულ ინტერვიუს.**

◆ ***ესპანეთის ჩემპიონები ხართ და ახლა გულშემატკივრები თქვენგან უფრო მეტს ითხოვენ.***

— ეს სრულად გასაგებია ჩვენთვის. 6 წელიწადი ტიტულების გარეშე გავატარეთ და ახლა, როცა ჩემპიონები ვართ, ახალ ამოცანებს ვისახავთ. გულშემატკივრები ევროპის ჩემპიონთა ლიგის მოგებას გვთხოვენ. ეს ნორმალურიცაა, რადგან „ბარსელონას" იმედი ბევრს აქვს.

◆ ***შეძლებს კი „ბარსელონა" გულშემატკივართა მოთხოვნების დაკმაყოფილებას?***

— ჩვენ გვყავს გუნდი, რომელსაც ყველაფრის მოგება შეუძლია. ჩემი აზრით, „ბარსელონა" დღეს საუკეთესოა. ასეთი გუნდი არ მინახავს ჩემი ასპარეზობის უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში, ძალიან ძლიერი მოთამაშეები გვყავს ყველა პოზიციაზე. ნებისმიერ მეტოქეს ჩვენი დამარცხება ძალიან გაუჭირდება...

◆ ***კი, მაგრამ, მადრიდის „რეალი"?***

— „სამეფო კლუბი" უკვე მეორე წელიწადია, ვერაფერს იგებს. მაგრამ მაინც სახიფათო მეტოქეა. ისინი ძლიერდებიან და კვლავ ტიტულებისათვის იბრძოლებენ ახალ სეზონში, — ისევე, როგორც ჩვენ. მადრიდის „რეალის" მთავარმა მწვრთნელმა ლუშემბურგომ კარგად იცის თავისი საქმე. ის მხოლოდ გამარჯვებებს ისახავს მიზნად.

◆ ***არ გაშინებთ ის გარემოება, რომ „ბარსელონას" თამაშის სტილი ყველამ იცის?***

— ასევე ყველამ იცის, როგორ თამაშობენ რონალდო და ეტო'ო, მაგრამ ამას მათთვის გოლების გატანაში ხელი არ შეუშლიათ. რაიკაარდმა გუნდისათვის ოპტიმალური ტაქტიკური სქემა შეიმუშავა და ჩვენც ამ სქემით ვითამაშებთ.

◆ ***თავად რა პოზიციაზე ითამაშებთ, — ცენტრში თუ შეტევის ხაზზე?***

— მე უკვე ყველა პოზიციაზე ვითამაშებ. ნებისმიერ ფუნქციას შევასრულებ, — ყველაფერი დამოკიდებულია თამაშის მსვლელობასა და მწვრთნელის გადაწყვეტილებაზე. პირადად უფრო მეტოქის კარის სიახლოვეს თამაში მირჩევნია — შეტევებში მონაწილეობა.

◆ ***ასეთ შემთხვევაში საკუთარი ერთი მაჩვენებელი უნდა გააუმჯობესოთ — გატანილი გოლების რაოდენობა...***



— მართალია. ის კი არა, მწვრთნელი რაიკაარდიც მირჩევს, რომ მეტოქის კარის მიმართულებით ხშირად დავარტყა. საკმაოდ კარგად ვაგზავნი ბურთს მიზანში... ჩვეულება მაქვს — ვიდრე დავარტყამ, ირგვლივ ვიხედები, იქნებ ვინმესთვის ბურთის გადაცემა უკეთესი იყოს. შევეცდები ახალ სეზონში უფრო შედეგიანად ვითამაშო.

◆ ***კლუბის ხელმძღვანელობამ კონტრაქტი გაგიგრძელათ. ეს უფრო მეტ პასუხისმგებლობას გაგრძნობინებთ...***

— რაკი კონტრაქტი გამიგრძელეს, ეს იმას ნიშნავს, რომ მენდობიან, — გუნდს ვპირდები და მე მათ იმედები არ უნდა გავუცრუო.

## პაოლო მალდინი — ოჯახური ლეგენდა გრძელდება

განვაგრძობთ „Golden Foox"-ის ნომინანტთა წარმოდგენას. დღეს უკვე ლეგენდად ქცეულ **პაოლო მალდინიზე** გვექნება საუბარი.

პაოლო მალდინი დაიბადა 1968 წლის 26 ივნისს მილანში.

თამაშობდა მხოლოდ „მილანში" და დღესაც ამ კლუბის ღირსებას იცავს. 7-ჯერ გახდა იტალიის ჩემპიონი, ერთხელ — ქვეყნის თასის მფლობელი, 3-ჯერ — იტალიის სუპერთასის მფლობელი.

ოთხჯერ დაეუფლა ევროპის ჩემპიონთა და ამდენჯერვე ევროპის სუპერთასს. ორჯერ მოიპოვა საკონტინენტთაშორისო თასი.

მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი (1994) და ევროპის ჩემპიონატის ფინალისტი (2000). მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანი (1990). 1994 წელს აღიარეს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად.



პაოლო მალდინი ოჯახურ ლეგენდას აგრძელებს. მამამისი — ჩეზარე მალდინი ერთ დროს სახელგანთქმული ფეხბურთელი იყო.

**აი, რაზე საუბრობს პაოლო მალდინი „სპორტ ექსპრესის" ჟურნალისტთან.**

**დებიუტის შესახებ.** „16 წლის ვიყავი, როცა „მილანის" მონაწილეობით ერთ მატჩში სერჯიო ბატისტინი შევცვალე. ეს 1985 წლის 20 იანვარს მოხდა. მაშინვე ვიგრძენი, რომ თავისუფლად შემეძლო თამაში გუნდის ძირითად შემადგენლობაში."

**მასწავლებელზე.** „ჩემი პირველი მასწავლებელი სერია „ა"-ში იყო ნილს ლიდჰოლმი. ყოველთვის უყვარდა ასეთი რამის თქმა — „ფეხბურთი თამაშია". ეს პრინციპი ბოლომდე გამომყვა".

**მამაზე.** „ჩეზარე მალდინი შესანიშნავი ფეხბურთელი იყო. თავიდან ისეთი ჭორები დადიოდა, რომ თითქოს „მილანში" მამიკოს პროტექციით მივედი. არა, მე გავიარე ყველა ახალგაზრდული ნაკრები, ევროპის იუნიორთა ჩემპიონატიც მოვიგე და ამან ჭორები გააქარწყლა.

**წარმატებების შესახებ.** „პირველი სკუდეტო" „მილანთან" ერთად 1988 წელს მოვიგე. ის დღე არასოდეს დამავიწყდება, ისევე როგორც გამარჯვება ევროპის ჩემპიონთა ლიგაზე მანჩესტერში 9-წლიანი შესვენების შემდეგ, როცა ფინალში „იუვენტუსს" მოვუგეთ. ასეთ წარმატებას 40 წლის წინ ხომ მამაჩემმაც მიაღწია. ამ დამთხვევამ უფრო გაალამაზა მალდინების ოჯახური ლეგენდა".

**ნაკრებზე.** „სამწუხაროდ, „სკუადრა აძურასთან" ერთად მსოფლიოს ოთხ ჩემპიონატში ვიასპარეზე და ტიტული ვერ მოვიგე. არადა, ნაკრების მაისურით მატჩების ჩატარების მხრივ რეკორდიც დავამყარე — 126-ჯერ ვიასპარეზე ეროვნული გუნდის შემადგენლობაში".

**მეტოქეებსა და თანაგუნდელებზე.** „ყველაზე ძლიერი ოპონენტი, რომლის წინააღმდეგაც მითამაშია, დიეგო მარადონა იყო. თანაგუნდელებიდან გამოვყოფდი ფრანკო ბარეზის და მარკო ვან ბასტენს".

**ახალ სეზონზე.** „კარს მომდგარი სერია „ა"-ს ჩემპიონატი რიგით 22-ე იქნება ჩემთვის „მილანის" შემადგენლობაში. დარწმუნებული ვარ, რომ „მილანი" კვლავ სეზონის გმირი იქნება."

## ემერსონი ვიეირასა და „ბებერი ქალბატონის" შესახებ

სპეციალისტები ფიქრობენ, რომ ტურინის „იუვენტუსში" პატრიკ ვიეირას გამოჩენით საბოლოოდ დასრულდება ბრაზილიელი ემერსონის კარიერა, თუმცა, ეს უკანასკნელი ფიქრობს, რომ ახალ სეზონში ლონდონის „არსენალის" ყოფილი კაპიტნის გვერდითაც წარმატებით ითამაშებს „ბებერი ქალბატონის" რიგებში.

„გასულ სეზონში „იუვენტუსის" მთავარი მწვრთნელი ფაბიო კაპელო შემპირდა, რომ ჩემთან ერთად ნახევარდაცვაში თამაშისათვის ერთ ძლიერ ფეხბურთელს შეარჩევდა. არა მგონია, რომ ამ პოზიციაზე, მსოფლიოში არსებობდეს პატრიკ ვიეირაზე ძლიერი ფეხბურთელი", — ამბობს ემერსონი, რომელიც ტურინული კლუბის ხელმძღვანელობამ შარშან შეიძინა „რომასაგან" 28 მილიონ ევროდ.

ჟურნალისტებთან საუბარში ბრაზილიელმა საკმაოდ ვრცლად დაახასიათა ვიეირა: „ის მუდამ ბურთისთვის იბრძვის და ეფექტური პასით მეტოქის დაცვის



გარღვევა შეუძლია. ისეთი გამოცდილება, როგორიც ვიეირას აქვს, ფულზე არ იყიდება. მან მსოფლიო ჩემპიონატი მოიგო საფრანგეთის ნაკრებთან ერთად და გარდა ამისა, ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს — „არსენალს" კაპიტნობდა... ეს უკვე ბევრ რამეზე მეტყველებს. ვიეირას აქვს ტექნიკა, რომლითაც სერია „ა"-ში ვარსკვლავი გახდება. ჩვენი მეტოქეები უკვე იმტვრევენ თავს იმაზე ფიქრით, თუ რა მოუხერხონ „იუვენტუსის" ახალ, ძვირფას შენაძენს."

უნდა ითქვას, რომ ემერსონმა წარმატებით ჩაატარა ბოლო სეზონი „იუვენტუსის" შემადგენლობაში, — გუნდს დაეხმარა „სკუდეტოს" მოპოვებაში. ბრაზილიელის შესაძენად იბრძოდნენ „ლივერპული", „მანჩესტერ იუნაიტედი" და „რეალი", მაგრამ მან მაინც ტურინში დარჩენა არჩია.

„რატომ უნდა წავიდე „იუვენტუსიდან". ამ გუნდთან კონტრაქტი სამი წლის შემდეგ მიმთავრდება. „იუვენტუსი" ძლიერი გუნდია, ახალ სეზონშიც ტიტულისათვის იბრძოლებს და მეც ეს მინდა. ძალიან მინდა ჩემპიონთა ლიგის მოგება „ბებერ ქალბატონთან" ერთად.

## თერთმეტმეტრიანი შეასრულა და... გარდაიცვალა

ბრაზილიაში, სეარას შტატში, ადგილობრივ საფეხბურთო გუნდებს შორის შეხვედრაში ტრაგედია დატრიალდა. მას შემდეგ, რაც მატჩის ძირითადი დრო ფრედ 0-0 დასრულდა, გამარჯვებულის გამოსავლენად დაინიშნა პენალტების სერია.

გადამწყვეტი დარტყმის შესრულება გუნდ „სი-ერ-ბის" თავდამსხმელს რეჟინალდუს მოუხდა, არადა, 34 წლის ფეხბურთელი დიდხანს უარობდა, — პენალტების დარტყმა არ მიყვარსო, მაგრამ მაინც დაჰყვა კლუბის ხელმძღვანელობის დაჟინებულ თხოვნას.

რეჟინალდუმ დაარტყა და გაიტანა გოლი, რომელმაც გამარჯვება მოუტანა მის გუნდს და... რომელიც უკანასკნელი აღმოჩნდა თავად ფეხბურთელისათვის, — გოლის გატანიდან ცოტა ხანში თავი ცუდად იგრძნო და საავადმყოფოსკენ მიმავალ გზაზე გარდაიცვალა.

## რონალდო სანაკრებო კარიერას მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ დაასრულებს



ბრაზილიის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის" თავდამსხმელმა რონალდომ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ის ნაკრების მაისურს აღარ მოირგებს.

„ბრაზილიის ნაკრებში ძალიან ბევრი მატჩი ვითამაშე. ორჯერ გავხდი მსოფლიოს ჩემპიონი. ვფიქრობ, ეს საკმარისია", — თქვა რონალდომ.

## ძენგა „ცრვენა ზვეზდას" გაწვრთნის

**სერბიისა და ჩერნოგორიის (ყოფილი იუგოსლავიის) ოდესღაც სახელოვან გუნდს „ცრვენა ზვეზდას" ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს. ეს გახლავთ იტალიელი სპეციალისტი ვალტერ ძენგა, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში წარმატებით იცავდა „სკუადრა აძურას" კარს.**

## კროუჩი «ლივერპულში»

ინგლისელი თავდამსხმელი პიტერ კროუჩი „საუთჰემპტონიდან" „ლივერპულში" გადავიდა. ამ ფეხბურთელში ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული გუნდის ხელმძღვანელობამ 7 მილიონი ფუნტი სტერლინგი გადაიხადა. „ლივერპულთან" კროუჩმა ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

„ძალიან მოხარული ვარ, რომ გადავედი სათამაშოდ ისეთ პრესტიჟულ კლუბში, როგორიც „ლივერპულია". ვეცდები, ნდობა გავამართლო," — ამბობს პიტერ კროუჩი.

## „ინტერმა" „მილანს" და „იუვენტუსს" აჯობა

**იტალიაში გაიმართა სეზონთშორისო საფეხბურთო ტურნირი „მილანის", „ინტერისა" და „იუვენტუსის" მონაწილეობით. წარმატებით იასპარეზა „ინტერმა". ამ გუნდმა თანაქალაქელი „მილანი" დაამარცხა პენალტების სერიაში 5-4 (ძირითადი დრო 0-0 დასრულდა). მანამდე კი 1-0 სძლია „იუვენტუსს". მეორე ადგილი „მილანმა" დაიკვა, რომელმაც „იუვენტუსს" 2-1 მოუგო.**

## აურზაური შევჩენკოს გარშემო



**როგორც ცნობილია, „მილანის" უკრაინელი ფორვარდი ანდრეი შევჩენკო ბოლო პერიოდში ნიღბით თამაშობდა, სერია „ა"-ს ბოლო სეზონში სახის ტრავმა მიიღო. რამდენიმე დღის წინ ნიღაბი ჩამოხსნეს, ექიმებს კიდევ ორი კვირის განმავლობაში ეყოლებათ ფეხბურთელი მეთვალყურეობის ქვეშ. ამის გამო, ის ვერ გაჰყვება გუნდს ამერიკულ ტურნეში. მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ რეჟიმის დარღვევისათვის საყვედური შეუთვალა შევჩენკოს, რამაც ამ უკანასკნელის გაღიზიანება გამოიწვია.**

**„თუ არ გჭირდებით, გამიშვით გუნდიდან", — ასეთი სიტყვებით მიმართა შევჩენკომ ანჩელოტის.**

**„მილანის" მწვრთნელისა და შეგირდის კონფლიქტი მაშინვე „აიტაცეს" იტალიურმა გაზეთებმა. გაჩნდა ინფორმაციები, რომ ლონდონის „ჩელსი" კვლავ მზად არის შევჩენკოს შესაძენად, ის კი არა, რომან აბრამოვიჩი უკრაინელს ყოველწლიურად 12 მილიონ ევროს ჰპირდება. „მილანის" მფლობელი სილვიო ბერლუსკონი იმედოვნებს, რომ კონფლიქტი მოგვარდება...**

## ანჩელოტი: „შევჩენკოსთან კონფლიქტური დამოკიდებულება არ მაქვს"



„მილანის" მთავარმა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ უარყო იტალიური პრესის მიერ გავრცელებული ინფორმაცია მასსა და ანდრეი შევჩენკოს შორის კონფლიქტური დამოკიდებულების არსებობის შესახებ.

„უკრაინელ ფორვარდთან ურთიერთობაში პრობლემები არ მაქვს. უბრალოდ, ჩვენ ვისაუბრეთ. ანდრეი შევჩენკო არის და მომავალშიც იქნება „მილანის" მოთამაშე", — თქვა ანჩელოტიმ.

* * *

ანჩელოტის განცხადების შემდეგ შევჩენკომ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მისი საყვარელი გუნდი „მილანია" და არსად წასვლას არ აპირებს.

## აილტონი «შალკედან» გაიქცა

თურქეთის საფეხბურთო კლუბმა „ბეშიქთაშმა" მიაღწია შეთანხმებას „შალკესთან" ბრაზილიელი თავდამსხმელის აილტონის შეძენასთან დაკავშირებით. თურქულმა მხარემ 3,5 მილიონი ევრო გადაიხადა და აილტონი ახალ ზესონს „ბეშიქთაშის" მაისურით შეხვდება. უახლოეს დღეებში აილტონი ახალ კლუბთან სამწლიან კონტრაქტს გააფორმებს.

32 წლის ბრაზილიელმა 7 წელიწადი გაატარა ბუნდესლიგაში და ბოლო სეზონი განსაკუთრებით წარმატებული აღმოჩნდა.

1998 წელს აილტონი „ვერდერში" ჩაირიცხა. 169 მატჩი ჩაატარა ამ გუნდის მაისურით და 89-ჯერ აიღო მეტოქეთა კარი. გასულ წელს კი „შალკეში" გადავიდა სათამაშოდ. და... ყოველ მეორე მატჩში გაჰქონდა გოლი (28 შეხვედრაში 14 გოლია მის ანგარიშზე). ბრაზილიელი ძალიან დაეხმარა ლევან კობიაშვილის გუნდს მეორე ადგილის დაკავებასა და ევროპის ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებაში.

„ეს ჩემი უკანასკნელი დიდი ტრანსფერია. სამი წლის შემდეგ ყველაფერი დასრულდება და მე დავბრუნდები ბრაზილიაში", — ამბობს აილტონი, რომელმაც „ბეშიქთაშში" უნდა შეცვალოს 7,7 მილიონ ევროდ „ლიონში" გაყიდული ჯონ კარიუ.

აქვე გეტყვით, რომ აგვისტოში „ბეშიქთაში" უეფას თასის გათამაშებაში ჩაებმება.

## ოუენი — ფერგიუსონს: „დამაბრუნეთ პრემიერლიგაში"

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში უკვე ვიუწყებოდით იმის შესახებ, რომ მადრიდის „რეალის" ფეხბურთელმა მაიკლ ოუენმა „ლივერპულში" დაბრუნების სურვილი გამოთქვა. როგორც ჩანს, მას თავისი ყოფილი გუნდიდან არავინ შეეხმიანა და ახლა აგენტი გააგზავნა „მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარ მწვრთნელთან ალექს ფერგიუსონთან მოსალაპარაკებლად, რათა როგორმე დაბრუნდეს პრემიერლიგაში.

ჯერჯერობით უცნობია მანჩესტერელთა გუნდის თავკაცის პოზიცია.

## ბაროშს „ლივერპულში" დარჩენა სურს

ინგლისური საფეხბურთო კლუბ „ლივერპულის" ჩეხმა თავდამსხმელმა მილან ბაროშმა უარყო ბოლო დროს გავრცელებული ხმები მისი გუნდიდან შესაძლო წასვლის თაობაზე.

„არასასიამოვნოა, რომ ბოლო დროს ვერ ვხვდები გუნდის ძირითად შემადგენლობაში. მაინც ბოლომდე ვიბრძოლებ, რადგან არ მსურს, წავიდე „ლივერპულიდან", — განაცხადა ბაროშმა.

# ნბა

## „დეტროიტში" ლარი ბრაუნის ეპოქა დასრულდა



ნბა-ს კლუბ „დეტროიტიდან" წავიდა მთავარი მწვრთნელი ლარი ბრაუნი. საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ გასულ პარასკევს, ბრაუნი გუნდთან დაკავშირებით ჟურნალისტებთან მომავალ გეგმებზე საუბრობდა... როგორც ჩანს, „დეტროიტის" მფლობელებმა ლარი ბრაუნთან საერთო ენა ვერ გამონახეს. გუნდიდან წასვლის მთავარ მიზეზად მწვრთნელმა ჯანმრთელობის გაუარესება მოიმიზეზა, თუმცა, ძალიან კარგად კი მუშაობდა...

„დეტროიტის" პრეზიდენტმა ჯო დუმასმა განაცხადა, რომ ბრაუნს კლუბთან კონტრაქტი 2008 წლამდე ჰქონდა დადებული, მაგრამ ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებით სამი წლით ადრე შეწყვიტა.

ამერიკული პრესის ცნობით, დარჩენილ სამ წელიწადში ლარი ბრაუნს შეეძლო კონტრაქტის პირობებით, 18 მილიონი დოლარი მიეღო.

გუშინ ლარი ბრაუნის გადადგომის შესახებ ახალი ინფორმაციები გაჩნდა. თურმე მწვრთნელს მართლაც ჰქონია პრობლემები საკუთარ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით. კლუბის ხელმძღვანელობამ კი წაუყენა პირობა, ნბა-ს ახალ სეზონში არ დაეკარგა დრო საკუთარი ორგანიზმის მკურნალობაზე, რაზედაც ბრაუნმა უარი განაცხადა და გუნდიდან წასვლა არჩია. შეგახსენებთ, რომ ლარი ბრაუნის ხელმძღვანელობით „დეტროიტი" ბოლო ორ სეზონში ბრწყინვალედ თამაშობდა და ორივეჯერ ნბა-ს ფინალში გავიდა. შარშან ჩემპიონიც გახდა. მართალია, წელს ფინალში გუნდი დამარცხდა, მაგრამ არავის ეგონა, თუ ლარი ბრაუნი მთავარი მწვრთნელის პოსტს დატოვებდა.

ამბობენ, რომ „დეტროიტმა" ბრაუნს აუკრძალა სხვა გუნდებში მუშაობა უახლოესი ერთი წლის განმავლობაში, სამაგიეროდ გადამდგარი მწვრთნელი სოლიდურ კომპენსაციას მიიღებს აწ უკვე ყოფილი გუნდისაგან.

საინტერესოა, რომ 64 წლის ბრაუნს სხვა გუნდები ეპატიჟებიან. მაგალითად, „ნიუ-იორკი" მზად არის, ერთ დღეში გააფორმოს კონტრაქტი ამ სპეციალისტთან...

„დეტროიტს" ამიერიდან ფილ სონდერსი გაწვრთნის. აქამდე ის „მინესოტას" ხელმძღვანელობდა.

**ახლა ნბა-ში მომხდარი სხვა ამბების შესახებ:** ახალი მწვრთნელი ჰყავს „სიეტლს" — 63 წლის ბობ უეისი, რომელმაც ნეიტ მაკმილონი შეცვალა. ეს უკანასკნელი სამუშაოდ „პორტლენდში" გადავიდა.

## ალონსო გერმანიის დიდი პრიზის მოგებას გეგმავს

„ფორმულა 1"-ის პილოტი ფერნანდო ალონსო დარწმუნებულია, რომ წარმატებით იასპარეზებს გერმანიის გრან პრის გათამაშებაზე, რომელიც კვირას ჩატარდება.

„ბოლო ორი რბოლა მაღალ დონეზე ჩავატარე და დარწმუნებული ვარ, გერმანიის გრან პრის გათამაშებაზეც პირველ ადგილზე გავალ,"— განაცხადა ალონსომ ჟურნალისტებთან საუბარში.

შეგახსენებთ, რომ საერთო ჩათვლაში „რენოს" პილოტი პირველ ადგილზეა. ის გერმანიის გრან პრის გათამაშებაში მთავარ კონკურენტად „მაკლარენის" ბოლიდებს მიიჩნევს.

„ფორმულა 1"-ის გუნდ „ჯორდანის" ხელმძღვანელობა ჯერჯერობით თავს იკავებს ახალი ბოლიდის გამოცდისაგან. არადა, მის გამოყენებას გერმანიის გრან პრის გათამაშების დროს გეგმავდნენ. საბოლოოდ გადაწყვიტეს, რომ ეს ნაბიჯი ერთი თვის შემდეგ გადადგან.



## არტესტი ნბა-ს ახალი სეზონისა და... სამუსიკო კარიერისთვის ემზადება

ნბა-ს კლუბ „ინდიანას" მოთამაშე რონ არტესტმა დაიწყო მზადება ახალი სეზონისათვის. ახლა გუნდში ახალბედები ვარჯიშობენ და საკონტროლო მატჩებსაც ატარებენ, ხოლო არტესტისათვის, როგორც გამოცდილი მოთამაშისათვის, არ იყო სავალდებულო ასეთ მატჩებში მონაწილეობა. ამის მიუხედავად, მან განუცხადა გუნდის ხელმძღვანელობას, რომ სურს ახლავე ჩაერთოს მზადების პროცესში. მან იასპარეზა „მინესოტასთან" მატჩში და 15 ქულა მოაგროვა. („ინდიანამ" იმარჯვა — 80:65).

„აღტაცებული ვარ რონ არტესტის მოქმედებით. ის მუდამ მუშაობს საკუთარ თავზე და დიდ სამუშაოს ასრულებს გუნდის სასარგებლოდ. მჯერა, რომ ახალ სეზონს ის ბრწყინვალედ ჩაატარებს", — განაცხადა „ინდიანას" პრეზიდენტმა ლარი ბერდმა.

კალათბურთის გარდა რონ არტესტს სხვა გეგმებიც აქვს. ის უშვებს მუსიკალურ ალბომს, სადაც ჩაწერილია რეპი მისივე შესრულებით. ამ ალბომის რეკლამის მიზნით აპირებს იმოგზაუროს მაიამიში, დეტროიტსა და ნიუ-იორკში. ალბომის გაყიდვა ნოემბერში დაიწყება.

## ახლა შარაპოვამ დაიწყო?

გახსოვთ ალბათ, რომ რუსი ჩოგბურთელი ანა კურნიკოვა სპორტის ამ სახეობაში იმდენად არ იყო პოპულარული, როგორც მის ფარგლებს გარეთ.



ხშირად იწერებოდა პრესაში კურნიკოვას სასიყვარულო რომანების შესახებ... თანამემამულის კვალს, როგორც ჩანს, მარია შარაპოვა „მიჰყვება", ოღონდ, იმ განსხვავებით, რომ ის ჩოგბურთის ვარსკვლავიცაა და ბევრი მნიშვნელოვანი ტურნირის მოგებაც მოახერხა. რამდენიმე დღის წინ ჰოლივუდში გაიმართა „ESPY Awords — 2005"-ის პრემიებით დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი. ჩოგბურთელი მარია შარაპოვა ტელეარხმა „იესპიენმა" წლის საუკეთესო ჩოგბურთელად აღიარა.

იმ მშვენიერ საღამოს რუს ვარსკვლავს მოწყენის საშუალებას არ აძლევდა 23 წლის ამერიკელი ჩოგბურთელი ვაჟი ენდი როდიკი. ორივენი ფოტოზე ერთად აღბეჭდეს კიდეც. წყვილმა ერთად უცქირა კრივის მატჩს, რომელსაც ტელეკომპანია „იესპიენი" გადასცემდა. ამის შემდეგ ორივე გაემართა ოტელ „რუზველტისაკენ" და, ზოგიერთ პაპარაცს თუ დავუჯერებთ, დილამდე საცურაო აუზში ისვენებდნენ...

საინტერესოა, რომ შარაპოვას ადრე ხუან კარლოს ფერეროსთან რომანსაც „აბრალებდნენ"...

## ჭადრაკის დღე

20 ივლისს მოსკოვში აღნიშნეს ჭადრაკის საერთაშორისო დღე. გარდა ამისა, 82 წელიწადი შესრულდა ფიდეს დაარსებიდან. ამასთან დაკავშირებით ამ ორგანიზაციის პრეზიდენტმა კირსან ილიუმჟინოვმა პრესკონფერენცია გამართა. მან აღნიშნა, რომ ბოლო პერიოდში ჭადრაკი საგრძნობლად განვითარდა. თურმე ყოველდღიურად ინტერნეტით, სპორტის ამ სახეობაში მილიონობით პარტია თამაშდება. ილიუმჟინოვის თქმით, დღეს ჭადრაკის თამაში 500 მილიონამდე ადამიანმა იცის.

## ჰოპკინსის პროტესტი

საშუალო წონაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი ბერნარდ ჰოპკინსი პროტესტს აცხადებს ჯერმეინ ტეილორთან ორთაბრძოლის შედეგზე, რომლის დროსაც თავისი ტიტულები დაუთმო მეტოქეს.

ჰოპკინსი აცხადებს, რომ ის მთელი შეხვედრის განმავლობაში ფლობდა უპირატესობას და მხოლოდ ერთ-ერთი მსაჯის გადაწყვეტილებით ჩაუთვალეს წაგება.

ექსჩემპიონმა უკვე მიმართა წერილით კრივის ორგანიზაციებს, რათა გადახედონ ორთაბრძოლის შედეგს და უახლოეს ხანში დანიშნონ მატჩ-რევანში.

საინტერესოა — ტეილორის წარმომადგენლებმა თავიდან განაცხადეს, რომ მატჩ-რევანშის გამართვა ოქტომბრის დასაწყისშია შესაძლებელი. მაგრამ შემდეგ საზოგადოებას აუწყეს, რომ ტეილორი რინგზე ვერ გამოვა ნოემბრის ბოლომდე, რადგან რამდენიმე თვე სჭირდება ჰოპკინსთან მიღებული ტრავმების მოსარჩენად.

## კაპრიატი აშშ-ის ღია პირველობას გამოტოვებს

ამერიკელი ჩოგბურთელი ქალი ჯენიფერ კაპრიატი არ იასპარეზებს აშშ-ის ღია პირველობაზე, რომელიც აგვისტოს მიწურულს დაიწყება. ამის მიზეზი არის ის, რომ გასული წლის ნოემბერში კაპრიატიმ ტრავმა მიიღო, ამა წლის იანვარში კი ოპერაცია გადაიტანა.

შეგახსენებთ, რომ ჯენიფერ კაპრიატიმ თავის კარიერაში „დიდი სლემის" სამი ტურნირი მოიგო. ორჯერ — ავსტრალიის ჩემპიონატი და ერთხელ — „როლან გაროსი".



## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**22 ივლისი, პარასკევი**

**საქართველოს ტელევიზია. აჭარა.** „ფეხბურთი და ჩვენ" (21.30). *НТВ плюс спорт.* „ატრ"-ის საჩოგბურთო მიმოხილვა (11.30, 23.00). სპორტული ცეკვები, ევროპის ჩემპიონატი (12.00). ბილიარდი, საერთაშორისო ტურნირი „შესანიშნავი რვიანი": კანიბეკ საგინდიკოვი (ყაზახეთი) — იური სოსნინი (რუსეთი) (13.15). ტაილანდური კრივი (15.15). „სპორტული გლობუსი" (19.15). „ნოკაუტი" (21.25), „ყველაფერი რაგბიზე" (1.15). EUROSPORT. ველორბოლა, ტურ დე ფრანსი (11.00, 16.30, 0.00). რალი, მსოფლიო ჩემპიონატი, არგენტინის რალი (12.00). სპორტის წყალთა სახეობები: მსოფლიო ჩემპიონატი, სინქრონული ცურვა, (13.00), წყალში ხტომა (14.30, 20.30, 1.00, 2.15). მძლეოსნობა, საერთაშორისო შეჯიბრება სუპერ გრან-პრი, პირდაპირი (21.00). ევროსპორტის ახალი ამბები (2.00).

**23 ივლისი, შაბათი**

**საქართველოს ტელევიზია. 1-ლი არხი.** „ფორმულა-1", პირდაპირი (14.55). **აჭარა.** „ფეხბურთი და ჩვენ" (12.30). *НТВ.* ფეხბურთი, რუსეთის ჩემპიონატი: „მოსკვა" — „ლოკომოტივი", პირდაპირი (13.55). *НТВ плюс спорт.* მსოფლიო ჩემპიონატი სპორტის წყალთა სახეობებში (9.00). „ატრ"-ის საერთაშორისო ტურნირი ჩოგბურთში, მეოთხედფინალი (10.25, 15.55), მძლეოსნობა, საერთაშორისო შეჯიბრება გრან პრი (12.45, 20.55). „ნოკაუტი" (20.25). ბრძოლა წესების გარეშე (1.15). EUROSPORT. ველორბოლა, ტურ დე ფრანსი (11.00, 14.45, 17.00). მძლეოსნობა, საერთაშორისო შეჯიბრება გრან პრი (13.00). მოტორბოლა, დიდი ბრიტანეთის გრან პრი (15.45). ფეხბურთი, ევროპის ჩემპიონატი 19-წლამდელთა შორის (20.00, 22.00). სპორტის წყალთა სახეობები, მსოფლიო ჩემპიონატი, ხტომები, პირდაპირი (1.00, 2.15, 2.30).

**24 ივლისი, კვირა**

**საქართველოს ტელევიზია. I -ლი არხი.** „ფორმულა-1", გერმანიის დიდი პრიზი, პირდაპირი (15.55). რაგბი, ევროპის ჩემპიონატი, შესარჩევი მატჩი: საქართველო — სერბეთი, პირდაპირი, ბ. პაიჭაძის სახელობის სტადიონიდან (21.00). **რუსეთის I-ლი არხი.** კრივი, პროფესიონალები: გლენ ჯონსონი — ანტონიო ტარვერი (0.30). *НТВ плюс спорт.* ჩოგბურთი: საერთაშორისო ტურნირი, „ატრ"-ის ნახევარფინალი (10.25), ფინალი, პირდაპირი (14.55). „სპორტული გლობუსი" (17.15). „ყველაფერი რაგბიზე" (17.45). „საჭადრაკო მიმოხილვა" (18.15). „დიდი რინგი" (19.00). „მამაკაცთა კლუბი", თურქეთის ეროვნული ჭიდაობა (21.30). სპორტის წყალთა სახეობები, მსოფლიო ჩემპიონატი (22.00). EUROSPORT. სპორტის წყალთა სახეობები, მსოფლიო ჩემპიონატი, ხტომები (10.30, 20.00, 22.30, 2.00 — ცურვა, პირდაპირი). მოტოსპორტი, გრან პრი (11.30, 14.15). საპლაჟო ფრენბურთი, მსოფლიო ტური (12.45). ველორბოლა, ტურ დე ფრანსი (13.15, 19.30). ფეხბურთი, „მშვიდობის ტური" სამხრეთ კორეაში, ფინალი (20.45). ფრენბურთი, ევროპული ლიგა, ფინალი (1.00).

## კროსვორდი

**თარაზულად:** 4. მოტოციკლებით რბოლა ყინულზე, 8. ვეტერანი ესპანელი ველომრბოლი, ტურ დე ფრანსის ხუთგზის პირველი გამარჯვებული, 10. საჭადრაკო პარტიის ბოლო სტადია, 11. აფრიკის სარაგბო ქვეყანა, 13. საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, 14. სომხეთის უძველესი საფეხბ. კლუბი, 15. ცნობილი არგენტინელი ფეხბურთელი, 17. ინგლისის სფეხბ. კლუბი, 18. კენიელი მორბენალი, 1500 მ. რბენაში ოლ. ჩემპიონი (1968), 20. „რეალის" ფეხბურთელი, 21. „სენაკურის" მწვრთნელი, წარსულში ფეხბურთელი, 22. „თბილისის" ფეხბურთელი.

**შვეულად:** 1. მეშვიდე ოლიმპიური თამაშების (1920) მასპინძელი ქალაქი, 2. კულტურიზმის მიმდევარი, 3. „მილანის" მეკარე, 5. საბერძნეთის საფეხბ. კლუბი, 6. „მონაკოს" მწვრთნელი, დიდიე... 7. ინგლისის საფეხბურთო ნაკრების მწვრთნელი, 9. რუსეთის ცნობილი სარაგბო კლუბი, 12. „რეალის" ფეხბურთელი, 15. ცნობილი მოცურავე რიკ..., 16. „ჩელსის" ყოფილი იტალიელი ფეხბურთელი, 19. ვეტერანი ვაჟი ჩოგბურთელი (აშშ).



მოამზადა ნოდარ ჯაჭვაძემ.

### წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. „სოსიედადი", 7. პილოტი, 10. კაპა, 11. ჰოლანდია, 12. სტუ, 15. ფალავანი, 18. ანა, 19. სლავკოვი, 20. არიფი, 26. „ანჟი", 27. „აუე", 28. „ალანია", 29. ნებიერიძე.

**შვეულად:** 2. ობოლაძე, 3. ისა, 4. დადიანი, 5. დვალი, 6. ბასო, 7. პასი, 8. ლოუ, 9. „ტაუ", 13. პაიჭაძე, 14. ტანდემი, 16. „ტვენტე", 17. ზონინი, 21. რომი, 22. ფეი, 23. ვეა, 24. ნბა, 25. ფრე.

### საჭადრაკო ამოცანა

ვ. მელნიჩენკო

(1987წ.)



შამათი 2 სვლაში

№54-ში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა: 1.კh5 --- 2. კ:g6X

1. ..... კ:b4 2. 0-0-0X!,
1. ..... gh 2. ლh7X,
1. ..... e2 2. ე:a3X,

## ოლსონი მსოფლიო ჩემპიონატზე არ იასპარეზებს

სამხტომში მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი, შვედი კრისტიან ოლსონი არ დაიცავს თავის ტიტულს ჰელსინკში, მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც 6 აგვისტოს აიღებს სტარტს. წლის დასაწყისში მან ოპერაცია გაიკეთა და სრულად ჯერ არ გამოჯანმრთელებულა.

„მე უკვე მოვიგე ყველაფერი, რისი მოგებაც შეიძლებოდა. ამიტომ არ არის საჭირო ჰელსინკში გამგზავრება", — ამბობს ოლსონი. სამაგიეროდ, სპორტსმენი გამარჯვებას გეგმავს მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატზე, რომელსაც მოსკოვი უმასპინძლებს.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 98-23-94, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: lelosport2005@yahoo.com